თომას ბერნარდი
გარეგნობა მაცდუნებელია

"Der Schein Trügt"
პირველად დაიდგა ქ. ბოხუმში 21.1.1984 წ.
რეჟისორი : Claus Peymann
საავტორო უფლებები, გამომცემლობა : mcemlobi: Suhrkamp Verlag Frankfiurt am Main1983

გერმანულიდან თარგმნა დიმიტრი გოგოლაშვილმა

სინოფსისი
კარლი, ყოფილი არტისტი, და მისი თეატრის მსახიობი ძმა, რობერტი, ერთმანეთს სამშაბათობით და ხუთშაბათობით სტუმრობენ. არც ერთს და არც მეორეს არ ახარებს ეს შეხვედრები, თუმცა ამ ჩვეულებას, სოციალური კონტაქტების ნაკლებობის გამო განაგრძობენ.

პირველი აქტი სამშაბათ საღამოს, კარლის ბინაში იწყება, რობერტის მოსვლამდე, კარლის გრძელი მონოლოგით, რომლის განმავლობაშიც ის ტანზე იცმევს და პირს იპარსავს. დროდადრო ის თავის ერთადერთ მსმენელს, ცალ თვალზე დაბრმავებულ იადონს მიმართავს. რობერტი დათქმულზე გვიან მოდის და ისინი იწყებენ დიალოგს თავიანთ ცხოვრებაზე, გაშვებულ შესაძლებლობებზე და რაც მთავარია, კარლის ცხოვრების თანამგზავრზე, ერთი თვის წინ გარდაცვლილ მათილდეზე, რომელთან ერთადაც მან 30 წელი იცხოვრა. თუმცა, მათილდემ თავისი აგარაკი არა კარლს, არამედ რობერტს უანდერძა. კარლი ბრაზობს, მაგრამ მათილდეს ნივთები აუქციონზე მაინც არ გააქვს და ბინაშიც არაფრის შეცვლას არ აპირებს.

მეორე აქტი იმავე კვირის ხუთშაბათს ასახავს, როცა უკვე კარლი სტუმრობს რობერტს; ეს აქტიც გრძელი მონოლოგით იწყება, ოღონდ ამჯერად მასპინძლის. კარლი რომ მოდის, ისინი წეღანდელ დიალოგს უბრუნდებიან. ძმებს ორაზროვანი ურთიერთობა აკავშირებთ, რომელიც სიმპატიის და გაღიზიანების შორის მერყეობს. კარლს მათილდესთვის ვერ უპატიებია, რომ (როგორც კარლს მიაჩნია) სულიერად მდიდარ, თუნდაც არც ისე წარმატებულ არტისტს, ქალი მაინც სნეულებებით დაღლილ, მოჩივარ მსახიობს ეტრფოდა და საბოლოო ჯამში, თავისი ერთადერთი მემკვიდრეობაც მას დაუტოვა.

კარლი
ჩვენ დამსახურებულად ვიღებთ პენსიას
კეთილსინდისიერი შრომის ფასად
უმაღლეს დონეზე

მოქმედი პირები

კარლი, ხანდაზმული ხელოვანი
რობერტი, მისი ძმა, ასევე ხანდაზმული მსახიობი
მეგაპოლისი

პირველი აქტი

სამშაბათი,
კარლის ბინაში

პირველი სცენა

ძველი, მოუხერხებელი ავეჯი,
ორი კომოდი, ერთი ქალის, ერთიც მამაკაცის ტანსაცმლით, - კომოდების ქვეშ და მათ წინ თორმეტიოდე წყვილი ფეხსაცმელი
ერთი პირსაბანი, გვერდით კი, მოვარაყებული გალია, რომელშიც იადონი ზის
დიდი მაგიდა
მცირე მაგიდაზე ქალის ტანსაცმელია დახვავებული და კარლის არტისტული
მოღვაწეობის დროინდელი სუარათებიც აწყვია
ასევე მისი გარდაცვლილი ცხოვრების თანამგზავრის ფოტოსურათი
ძველი რადიომიმღები, ძველი ფირფიტასაკრავი

კარლი
ბაწრით კისერზე მობმული სათვალით, იატაკზე ფორთხავს და ფრჩხილის ქლიბს ეძებს.

ჩვენ ღელვა არ შეგვშენის
განსაკუთრებით ამ ამაზრზენ დროში
მოკლე პაუზის შემდეგ
შეიძლება ასეთი ამაზრზენიც არაა
საკუთარ ვირტუოზობას და ხასიათს გააჩნია
თუ სხვებს თავს მასხარად ავაგდებინებთ
ჩვენი საქმე წასულია
ოჰ როგორ მძულს სამშაბათები
ხუთშაბათები ხომ საერთოდ
იგივე ერთსა და იმავეს არ ნიშნავს
ანდერძის და მემკვიდრეობის სასამართლო

კიდევ კარგი რომ უნივერსიტეტში სწავლა არ გავაგრძელეთ
და რომ ევროპაში დავრჩით
საკუთარ შეცდომებს რომ არ ვემსხვერპლეთ
პირდაპირ მეგის მიმართავს, გალიაში დამწყვდეულ იადონს
ცხოვრების ხალისი ხომ მაინც არ დაგვიკარგავს
თუნდაც ამდენი ხანი არ გვიმართლებდეს
ჩვენი ორგანოები გამოფიტულია
მართალია მათილდემ მიგვატოვა
მაგრამ სიცოცხლის ხალისი მაინც არ დაგვიკარგავს
ქალის კომოდის ქვეშ ფრჩხილების ქლიბს ეძებს
მაიმუნობა არ გვჩვევია
შეიძლება ბევრს ვუფრთხოდით
ჩვენივე ახირებების გამო
მოკლე პაუზის შემდეგ
მაშ ჩვენი აგარაკი რობერტს ერგება
მსახიობს
ჩემი ცხოვრების თანამგზავრმა არტისტს აფერისტი მამჯობინა
საიდან ამდენი ჭუჭყიანი სარეცხი
დაგლეჯილი წინდები
ქორწინებისას ცოლს მარადისეულ ერთგულებას ვეფიცებით
ის კი ყველაზე არახელსაყრელ დროს გვტოვებს
ახლა ფრჩილის ქლიბს თავისი კომოდის ქვეშ ეძებს
ჩემი დირიჟორის ჯოხის ტაქტში ცეკვავდა
ისევ იადონს მიმართავს
კაპელმეისტერებს ყველაფრის გართულება უყვართ
სადირიჟორო ჯოხის ქნევისაც კი
როგორი გამოჩენილი ოსტატებიც არ უნდა იყვნენ
თავს თავისი კომოდის ქვეშ ჰყოფს, მერე კი ამბობს
გამოღებული უჯრის დატოვება ავისმომასწავებელი ნიშანია
ცალ თვალს ქალის კომოდისკენ აპარებს
ტანსაცმელს აუქციონზე მაინც არ გავიტან
აქ უნდა დარჩეს
ქლიბს პირსაგანის ქვეშ ეძებს
ეს მოძულებული ჩაცმა-შემოსვის პროცედურები
მაგის თავი აღარ მაქვს
უკვე ფრჩხილების დასაჭრელადაც მჭირდება სათვალე
იგივე რომლითაც ვოლტერს ვკითხულობ
გაჭირვებით დგება ფეხზე
იმდენ ხანს არ უნდა ვიცოცხლოთ
რომ ფრჩხილების დასაჭრელად სათვალე დაგვჭირდეს
დამამცირებელია
მითუმეტეს, რომ ასაკთან ერთად ჭკუა არ გვემატება
როგორც ეს ბევრს ჰგონია
მხოლოდ გულმტკივნეულობა
ისევ ქალის კომოდის ქვეშ იხედება
ცხოვრების თანამგზავრს კი ყველაზე არახელსაყრელ წუთს ვკარგავთ

იადონ მეგის უბრუნდება
მაშ შენღა დამრჩენილხარ
როგორც ჩემი ცხოვრების აზრი
აფსუს რომ ჰანსი არ დაგარქვი
ანდა კარლი
ქალებს მხოლოდ დიდებული და არაჩვეულებრივი ხიბლავთ
ახლა ფრჩილის ქლიბს წიგნის თაროს ქვეშ ეძებს
კატასტროფა მხედველობის დაქვეითებით იწყება
უნებლიეთ შარვალში რომ გვეპარება
მაშინ როცა კარზე დარეკილი ზარი არ გვესმის
რამოდენა გაჭირვებით ავიარე გუშინ საფეხურები
არა და ბადის ჩანთაში სულ ერთი ბოთლი რძე და ძეხვი მედო
ისევ მეგის უბრუნდება
სულ ერთი ბოთლი რძე და ძეხვი
ოთახის იატაკს დაჰყურებს
თავიდან მეგონა რომ სასაფლაოზე ყოველ დღე ვივლიდი
მაგრამ გასულ პარასკევის მერე აღარ წავსულვარ
დაფიცებით ხომ არ დამიფიცია
დაპირებით კი რას არ დააპირებ
მთავარია ექიმებს ხელში არ ჩაუვვარდეთ
თავი არ გავაჭრევინოთ
ფეხის წვერებიდან კინკრიხომდე არ გამოვაკვლევინოთ
ჩვენი ჯიბე არ გავაყვლეფინოთ
რაიმე მომაკვდინებელი სნეულება არ აღმოვაჩენინოთ
ფრჩხილის ქლიბს მაგიდის ქვეშ ეძებს
უმადობა მხოლოდ გლოვის შედეგია
არა, მის ტანისამოსს აუქციონზე არ გავიტან
მე ამას რობერტს გადაჭრით ვეტყვი
საერთოდ არაფერს არ გავიტან აუქციონზე
დგება და ერთ ცალ სამოსს ყნოსავს
ყველქააზე არახელსაყრელ წუთს
სამოსს ისევ ტანსაცმლის გროვაზე აგდებს, იადონ მეგის უბრუნდება
შენ მათილდემ გიყიდა
და არა მე
ქლიბს პირსაბანის ქვეშ ეძებს
როგორ ვერ ვიტან სამშაბათებს
ხუთშაბათებს ხომ საერთოდ
კიდევ კარგი
რომ რობერტი ჩემთან მოდის
და არა პირიქით
ხუთშაბათები რთული დღეებია
სახლში ლიფტიც არა აქვს
ეს ამაზრზენი ავეჯი
უგემოვნო შპალიერი
აუტანელი სუნი ტუალეტიდან
მთელი ტრაპისტების ქუჩა რომაა გახვეული

ტიპიური ბერბიჭა
ინგლისის დედოფლის წინაშეც კი წამდგარა
სასაცილოა
არასდროს დავიჯერებდი
ამოდენა პატივს თუ დასდებდნენ
ამპარტავნებით დაიმსახურა
ბედმა გაუღიმა
თორემ თავის შეწუხება არ სურდა
ერთი ზარმაცი დედიკოს ბიჭი იყო
თანდაყოლილი ენის ჩლიფინით
მეფე ლირი კი მაინც ათამაშეს
რა ეშველება
მაგრამ ტასოს ბრწყინვალედ თამაშობდა
ძალიან მიყვარდა იმის ყურება
დიდებული იყო
ფეხზე შეუჭრელი ფრჩხილები წინდებს მიცვეთს
ორი წყვილი ინგლისური წინდა გამიხვრიტა
ფრჩხილის ქლიბს ლოგინის ქვეშ ეძებს
ახლა ვინ გამიქლიბავს ფრჩხილებს
მე ნივთებს ვერ ველევი
არა და ჩემი იდეა იყო
რომ მისი სიკვდილის მერე ყველაფერი ლომბარდში წამეღო
და არა რობერტის
მაგრამ გადავიფიქრე
სამუდამო დანაკარგს მერე და მერე ვაცნობიერებთ
შეიძლება ითქვას
ყველაფერი მტკივა
ჩემი თანამგზავრი საშინლად უკრავდა როიალზე
მოცარტს შეურაცხყოფდა
ნეტა ვინ აძალებდა
გინდა თუ არა პიანისტი უნდა გახდეო
კლასიკური ნაწარმოებები ამოეჩემა
პედანტი იყო
ერთხელ დავთანხმდი
მერე კი აღარ
მაგრამ ცოლად მაინც არ მოვიყვანე
იგი დილეტანტივით უკრავდა
მაგრამ როიალი მაინც არ გაიყიდება
დგება და დაქანცული ისევ მაგიდას მიუჯდება
*კვი*რაობით მოცარტის სონატას უკრავდა
ახლა კი გვაკლია
სონატის დაკვრას ვაცლიდი
პარტნიორთან თანაცხოვრებისას მის ერთ წუნს მაინც უნდა შევეგუოთ
ჭექა-ქუხილის ეშინოდა
თავს მასხარად იგდებდა
თავზარდაცემული სახით მიიყუჟებოდა ამ კუთხეში

ხელს კუთხისკენ იშვერს
აგერ აქ
გულის ამრევი სანახაობა იყო
ირგვლივ იყურება
სამაგიეროდ ისეთი გემრიელი კარტოფილის შეჭამანდის მომზადება იცოდაქ
ვერავინ შეედრებოდა
კერვა კი არ გამოსდიოდა
ნაცრისფერი კაბა მაინც უხდებოდა
სარეცელზე დასვენებულს ბოლო სურვილი შევუსრულე
ის კაბა ჩავაცვი
სონატების დაკვრისას რომ იცვამდა
მართალია დიდი ძალდატანებით
თუმცა მაინც შევძელი
ოღონდ ზურმუხტი საფლავში არ გავატანე
ხალხსაც ძალდატანებით ვესაუბრებოდი
ისინი კი სისულელეებს ბლუყუნებდნენ
დასაფლავება არც თუ ისე ძვირი დამიჯდა
როგორც იქნა პირსაბანის ქვეშ ფრჩხილის ქლიბს პოულობს და შუქის ფონზე, თითქოს აღტაცებით ათვალიერებს, მერე ერთ-ერთ სავარძელში ჯდება და ფეხის ფრჩხილების დაჭრას იწყებს
ჩემ თავს მუსიკის მოსმენა ავუკრძალე
მცირე პაუზის შემდეგ
ერთი გვერდი ვოლტერი
ანდა ერთი გვერდი პასკალი
თუ გადაგვარჩენს
ქლიბს ჰაერში იტაცებს
რა მნიშვნელობა აქვს ვინა ვართ
მთავარი ისაა
რომ ფრჩხილებით წინდების წვერები არ გავხვრიტოთ
ქლიბვას აგრძელებს
თავი ნიჭიერი გვგონია
სინამდვილეში კი ტრაწიანი ბეხრეკები ვართ
დგება და პირსაბანთან მიდის, სადაც ფჩხილების ჭრას აგრძელებს
მეორეს მხრივ მნიშვნელოვანია
რომ არასდორს გავჩერდეთ
სამშაბათებიც მნიშვნელოვანია და ხუთშაბათებიც
რობერტს ნახევარ-ძმას ვეძახი ხოლმე
მას კი სწყინს
ჩვენ რეგულარულად ვნახულობთ ერთმანეთს
როგორც არ უნდა გვეზარებოდეს
მთავარია ხელი არ ჩავიქნიოთ
იადონს უბრუნდება
ოღონდ ხელს ნუ ჩავიქნევთ, მეგი
ადრე თუ გვიან ყველა კვდება
მე კი მეგონა
პირველი მე ვიქნებოდი

მაგრამ იმან დამასწრო
ჩვენი რიგები თხელდება
ამაში სასიხარულო არაფერია
ფანჯრიდან გარეთ იხედება
ახლა ყველაზე გრძელ ღამეებს გავდივართ
აქედან მოყოლებული დღეები სწრაფად გაიზრდება
ისე კი მიზანშეწონილად ვიცხოვრეთ
ზედმეტს არაფერს ვითხოვდით
ასე ვთქვათ აღვირი არ აგვიხსნია
თუმცა იმასაც ვერ ვიტყვი
რომ ბევრს ვიკლებდით
იქამდე არ უნდა ვიცხოვროთ
სანამ კონტაქტი მხოლოდ სასაფლაოსთან გვექნება
გულწრფელად რომ ვთქვათ
მიცვალებულებს იქამდეც არ ვუთმობდით დიდ ყურადღებას
არც ნათესავებთან და არც სხვა ახლობლებთან
ზოგს სურვილებს ვუსრულებდით
ზოგს კი არა
საერთოდ ვერ ვაცნობიერებდით
ჩვენთან იყვნენ თუ უკვე საიქიოში
გაჭიმულად
მა-თი-ლდე
ქლიბს სულს უბერავს
ხალხი რისი მომცემია
კიდევ კარგი რომ მათი იმედით არ გვიცხოვრია
ჩაფიქრებული
როგორც ამბობენ ფრჩხილები საფლავშიც იზრდება
ისევე როგორც თმები
სულ ცოტა ხანს
ისევე მეგის უბრუნდება
ნუ გეშინია
ჩვენ არსადაც არ გადავსახლდებით
რა სულელური აზრი იყო
რამ მაფიქრებინა
ჩვენ ხელს არ ჩავიქნევთ
ეგ ჩვენი სიკვდილის ტოლფასი იქნება
ერთი ყლუპი ცივი რძე უნდა გადავკრა
პირის გასაგრილებლად
ირგვლივ მიმოიხედავს
როგორ უნდა მივატოვოთ ყველაფერი
ფანჯრიდან იდეალური ხედი გვაქვს
ლიფტიც გვაქვს სადარბაზოში
მიჩვევის ამბავია
გამორიცხულია აქედან გადასვლა
ფანჯარაში იყურება
ძველ სახლს თავისი უპირატესობები ავს

ვერ ამჩნევ თანდათან როგორ ცვდება
ისევ მეგის უბრუნდება
ჩვენ უკადრისი არასდროს გვიკადრებია
ასე არაა?
შეიძლება ცოტას ვოინბაზობდით ხოლმე
მხოლოდ თავის გასატანად
მაგრამ სახელი არასდროს გაგვიტეხია
კუთხეში წაქცეულ ფეხსაცმელს უყურებს, დგება, ფეხსაცმელს სწორად დგამს და აჩერდება
პედანტი ვარ
ისევ ჯდება და ფეხზე ფრჩხილებს იქლიბავს
ბუნებრივია შედავებას ვერ ვითმენდი
იერიშზე გადავდიოდი
მოხარშული სატაცური მატილდას საყვარელი კერძი იყო
ოპერის ლოჟა უყვარდა
მე კი გულზე არასდროს მეხატებოდა ოპერა
მსახიობი და თეატრი სხვა ამბავია
რობერტს ჩემს ზურგს უკან ჭორაობა უყვარდა
და პირის ჩატკბარუნება
მარტოობისას თავის დას წერილებს სწერდა
ობეროლინგენში აგზავნიდა
არა
ყველასთან დაძმობილება არ გამოდის
ისევ მეგის მიმართავს
წარმოგიდგენია რომ ოდესღაც ბუკზე ვუკრავდი
სადღაც ოცი წლის ვიქნებოდი
და ცოტა მეტის
მეგისთან მიდის და გალიაზე უკაკუნებს
ჩემო საიდუმლო დამკვირვებელო

მეორე სცენა

ათი წუთის შემდეგ
კარლი

ქალის ტანსაცმელს სკივრში ალაგებს
აუქციონზე ა რ ა ფ ე რ ი არ იქნება გატანილი
არც სათნოების სამსახურში
აქ ყველაფერი მოგონების საგანია
უკიდურესად პირადი
აუქციონი რამ მაფიქრებინა
სამსახურში რომ მიდიოდა ისე ღელავდა
საკუთარი სახელის წერაც კი აღარ შეეძლო
დაბადების თარიღი ავიწყდებოდა

წიგნების კითხვა კი არ უყვარდა
არც ჭადრაკის თამაში
ფილოსოფია ხომ საერთოდ
ბავშობაში სიცილის მიზეზი არ მისცემია
უბედური ბავშვი იყო
დაკვნეტილი ფრჩხილებით
მაგიდიდან ყველაფერს ძირს ყრიდა
ერთ ხანს სიმღერასაც ცდილობდა
სჯობდა არ ემღერა
საათს უყურებს
ექვსის ნახევარია
მე მის სილამაზეზე მორგებულ სტილს ვკარნახობდი
პროვინციულ-ბურჟუაზიულობას გადავაჩვიე
ჩემთან რომ მოვიდა შევეკითხე
უკანალზე ნაიარევი საიდან გაქვს-მეთქი
ერთ კაბას ხელში იღებს და ყნოსავს
მამა ყოველდღე სცემდა
დედა ამას ჩუმად ითმენდა
არც სასეირნოდ დაჰყავდა
და არც გასართობ ღონისძიებებზე
აბა რას უნდა ელოდო სურსათით მოვაჭრე მშობლებისგან
თანაც ლოთებისგან
მაგრამ ფორტეპიანოზე დაკვრა მაინც ასწავლეს
შარლატანი მამისთვის ეს დიდი მიღწევაა
წერაშიც მოიკოჭლებდა
ზოგი სიტყვის გამოთქმა უჭირდა
სიცილით
პიანისტი მაინც გამხდარიყო
ჩვენს დას ძალიან ვამსგავსებდი
მათილდეს
ისიც ემოციური ბავშვი იყო
ლოგინს უყურებს
როგორ გააოცა თავის დროზე ამ საწოლმა
ამოდენაში არასდროს მძინებიაო
ფართო და კოხტა ლეიბზე
რამდენი რამის სწავლამ მომიწია
ჩვენთან სრულიად უმეცარი მოვიდა
თუმცა დროულად
მე მას ტოსკანაში მოგზაურობას შევპირდი
ვიმოგზაურეთ კიდეც
მას კი სულ ეშინოდა
რომ მამამისს ჩვენთვის არ წაესწრო
ვოლტერს ვუკითხავდი
მაგრამ რომ ვეკითხებოდი
რამდენი გაიგე-მეთქი
თურმე არაფერიც არ ესმოდა

საერთოდ არაფერი
რა მექნა
ხელი ჩავიქნიე
ფეხსაცმელს იპრიალებს, წინდებს იცვამს
ბოლოს და ბოლოს გერმანული ვასწავლე
ავსტრიულ დიალექტზე ლაპარაკობდა
და ცოტა ფრანგულიც
პირველად მე გავიყვანე საზოგადოებაში
თეატრში დამყავდა
მაგრამ ლესინგი რომ ვუხსენე
არც ეგ სახელი ჰქონდა გაგონილი
თუმცა რაში გამოადგა
ისევ მეგის მიმართავს
მას შენ უფრო აინტერესებდი
მე კი ვერ ვხვდებოდი
ყოველ დღე მოვუწოდებდი
თმა ჯაგრისით დაივარცხნე-თქო
მაგრამ სურსათის ვაჭრები ინტროვერტი ხალხია
ის ხომ მამიკოს გულის ვარდი და სათამაშო იყო
მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს
რომ აგარაკზე უარი უნდა ვთქვათ
უბრალოდ ნერვები მეშლება
რომ მან ის რობერტს უანდერძა
არა და იქ ისეთ რეკრეაციას ვახერხებდი
როგორც არსად
მას კი პარტერში ცხოვრება ერჩივნა
გესმის შენ
აბა სურსათის ვაჭრის შვილისგან რას უნდა ელოდო
მათ პირველი სართული უყვართ
მე ასე დაბლა არ დავეშვებოდი
ლიფტი რისთვის არსებობს
ენობრივი უნარებით ნამდვილად არ გამოირჩეოდა
ცოტათი შეუგნებელიც იყო
რას ვიფიქრებდი რომ ანდერძის შედგენას შესძლებდა
მე კი მეგონა რომ არაფერი გააჩნდა
აგარაკი სულ დამვიწყებოდა
რობერტს უანდერძა
მე კი არა
თურმე ჩემი ინტელექტუალური მოღვაწეობა აღიზიანებდა
თუმცა მე არ მაჩვენებდა
თავს იკატუნებდა
მაგრამ თვალთმაქცობა არ გამოსდიოდა
დგება და დარჩენილ ქალის ტანსაცმელს სკივრში აწყობს
 იმ მსახიობს რა ვუთხარი
რომელიც ხალხის ყურადღებას უფრო თავისი სნეულებებით ითქვამს
ვიდრე მსახიობური ნიჭით

შიონბერგს საათობით შემიძლია ვუსმინო
რობერტს კი მისი მუსიკა თავს აწყენდა
გსულწრფელად რომ ვთქვა ანტიხელოვანია
როგორც ეს მსახიობებს ახასიათებთ
ჰონორარად ოცდაერთი ტალერი ამიღია
ეს მაშინ როცა მთელი ოლიმპიის სტადიონი გადავსებულიყო
წარმოგიდგენია მეგი
ოღონდ თაღლითობას არ ვკადრულობდი
არც წინა რიგებში ვეტენებოდი
სცენასთან ახლოს დაჯდომა არ მიყვარს
მაგრამ გოეთეს ტასოში რობერტმა კარგად ითამაშა
რაღაცნაირი უმწეო ჩანდა
თითქოს სული ეხუთებოდა
ფანჯარასთან მიდის და გარეთ იხედება
ბუკზე ვუკრავდი
ჩასაბერ საკრავებისკენ მიწევდა გული
მუსიკა მუდამ მშველოდა
განსაკუთრებით გაჭირვების ჟამს
ოჯახში მხოლოდ მე მქონდა მუსიკალური სმენა
და არა ვაი-პიანისტ მათილდეს
ისევ მეგის უბრუნდება
ჯაფას მეტწილად სამზარეულოში სწევდა
საყოველთაო კეთილდღეობაზე უყვარდა ლაპარაკი
მაგრამ თუ შენთვის საკვები დაავიწყდებოდა
ისევ ქალაქში ვაგზავნიდი
ასე ვსჯიდი
არც ვუბოდიშებდი
ჩვენ მას არაფერს არაფერს ვარჩენდით
რადიოს რთავს
,,მობრძანდით ჩვენთან ოცდათერთმეტამდე
ოცდაათ პროცენტამდე ფასდაკლებები გელით
მობრძანდით ჩვენთან ოცდათერთმეტამდე
ოცდაათ პროცენტამდე ფასდაკლებები გელით"
რადიოს გამორთავს
სავარძელზე ჯდება და ფეხებს წინ იშვერს
ზურმუხთის ბეჭედი საახალწლოდ გაიკეთა
ათასცხრაასორმოცდათვრამეტ წელს გრენობლში ვუყიდე
ჩემს უკანასკნელ გამოსვლაზე
ქუჩებში თოვლის მთები
ნამდვილი კოშმარი
დგება და იატაკზე მოპნეულ ფეხის ფრჩხილებს ტანსაცმლის ჯაგრისით აგროვებს
ტუილრის ბაღებში კუჭის ტკივილები დამეწყო
იქამდე მსგავსი არაფერი მომსვლია
მოხვეტილ ფრჩხილებს ნაგვის ყუთში ყრის
უცბად ბავშვობაში გადავვარდი
რენცის ცირკი მახსენდება ბადენ-ბადენში

ლონდონშიც
ძალაგამოცლილი სავარძელში ეშვება
მანჩესტერი
ნაპოლეონი წავიდა და ბურბონები მობრუნდნენ
ევროპა ნაპოლენმა კი არ დაამსხვრია
ევროპა შეემსხვრა ნაპოლეონს
თავისი ნიჭი კი მდინარე ელბეს გატანა
და ამით საფლავი გაითხარა
საათს უყურებს
მოგზაურობა აღარ მაინტერესებს
პირსაგანთან მიდის და სახეს ისაპნავს
შეიძლება ითქვას რომ ისტორია დავწერე
ენას გარეთ ჰყოფს
ყველა წერს ისტორიას
მისი გარდაცვალების დღეც სამშაბათია
აქამდე როგორ გამომეპარა
Ren-dez-vous
უცნაურად გამოთქვამდა
თუ რამეს ლათინურად ვეტყოდი
ბრაზდებოდა
იყო რაღაც ამაზრზენი მის მიდრეკილებაში არისტოკრატიისკენ
ენას გარეთ ჰყოფს
ალღო არ მღალატობდა ხოლმე
რობერტზე მეტად მაინც მიმართლებდა
ერთი გამოსვლით ოცდაერთი ტალერი ცუდი არაა
სად გაგიგია რომ არტისტი ორმოცდაათი ათასჯერ გამოსულიყოს
მე განუმეორებელი ვიყავი
თავს სარკისკენ სწევს, ისე, რომ ლამის კისერი მოსწყდეს, იძახის
არტისტ-ეკვილიბრისტი
მაღლა აწეული თავით, იცინის
ტალერების არტისტი
ისევ მაგის მიმართავს
ჩემი თავის გარდა არავის ვემსახურებოდი
ჩემს ხელოვნებას კარგად ვფლობდი
მხოლოდ ლიონში არ გამიმართლა
პუბლიკას კი არაუშავდა
ჩემი ნომერი ხელმეორედ შევასრულე
ოცდაერთი ტალერის ნაცვლად ოცდასამს გავწვდი
ჩემი უდიდესი ტრიუმფი
უდიდესი აპლოდისმენტებიჩემი
ყველაზე მქუხარე ტაში რაც კი ჩემს კარიერაში მინახავს
უმწარესი მარცხიდან
უდიდესი გამარჯვება მოვიპოვე
სულ რაღაც სამ წუთში გამოვასწორე სიტუაცია
გრენობლში კი გამოსვლები დავასრულე
დიდების მწვერვალზე მდგარმა

რობერტივით კი არ ველოდი
სანამ ყელს თუ სხვა რამეს გავიციებდი
ისე რომ კარიერის დასრულება მომიწევდა
პირს იპარსავს
მსოფლიოს დამპყრობელი არტისტი
სხვების სწავლა-დარიგება არასოდეს მიცდია
მხოლოდ ჩემს შესაძლებლობებს ვაჩვენებდი
თუმცა კლასიკოსებს არ ვბაძავდი
ჩემი ნომრებით მთელი ევროპა შემოვიარე
ორმოცდამეათე დაბადების დღე კი გრენობლში ავღნიშნე
ესეც დიდი ფუფუნება იყო
მაგრამ თავი დავიზღვიე და გამოსვლებს მოვრჩი
ისე რომ არავისი მმართებდა
და არც არაფერი დამიკარგავს
მოგვიანებით არც წამომიწყია
აღარც ვლაპარაკობდი მაგაზე
მათილდეს კი მად დროისთვისაიც ვერ გაეგო
თუ რაში მდგომარეობდა ჩემი ხელოვნება
რა ხელოვნება იყო თეფშზე საჭმლით სურათების კეთება
ინსტალაცია
გრენობლშიც კი წავიყვანე ქალბატონი
თუმცა ქორწინებაზე არც მიფიქრია
მხოლოდ თანაცხოვრებაზე
განგებით მიჩენილ დაწყვილებაზე
წარუმატებელი პიანისტის აღზრდა დავიწყე
ჩაცმა და გერმანული ენა ვასწავლე
სამზარეულოს ხელოვნებას ვაზიარე
მცდარი არაფერი მისწავლებია
კვირაობით მოცარტის სონატას ვაკვრევინებდი
ასე ვცხოვრობდით წლების მანძილზე
სრულ თანხმობასა და ჰარმონიაში
ბავშვობაში მხოლოდ იმედგაცრუებები ჰქონდა
გონებაზე საზიანოდ მოქმედ ოჯახში იზრდებოდა
რეგვენი მამისგან და რახიტი დედისგან გავანთავისუფლე
პირს იბანს, კარგი მარკის აფტერშეივით იგრილებს
ნურაფერს გადააჭარბებ
ვეუბნებოდი
ნურაფერს ნუ დააჩქარებ
ლოყებს იფშვნეტს და ენას გარეთ ჰყოფს
კარგი დროის ლოდინს აზრი არა აქვს
დრონი არასდროს გვწყალობენ
სულ თავის გატანა გვიწევს
სხვა თუ არაფერი
მყუდრო ბუდე მაინც გვაქვს
თუნდაც მოკრძალებული
როგორც მე ადრე ვუწოდე

სულიერი ოაზისი
ჩემო მეგი
ისევ იადონს მიმართავს
ნოემბრის მდარე დღეები
ბოლო რომ არ უჩანს
თუმცა არც მაშინ ვიწყენთ
სწორედ მაშინ გვეწვევიან ჩვენი დიდი მუზები
ფანჯარასთან მიდის და წიგნის თაროდან ერთი წიგნი მოაქვს,
საათს უყურებს და ისევ ფანჯარასთან ჯდება
მონოლოგების ხელოვანი
წიგნს ფურცლავს
საპირისპირო სქესზე ფიქრის დრო რომ დადგა
ჩემი თავი გავაკვირვე
მე ხომ დაქორწინებას არ ვაპირებდი
მაგრამ დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად უკვე გვიანი იყო
მხოლოდ თანაცხოვრებაზე დავთანმხდი
თავი რომ დამეზღვია
ერთმანეთს ბავშვობიდან ვიცნობდით
მაგრამ დახლოებაში სურსათით მოვაჭრის მენტალიტეტი მიშლიდა
საათს უყურებს, წიგნს გადადებს, დგება და მამაკაცის კომოდიდან შარვალს იღებს,
იცმევს და აგრძელებს
ინსტინქტი
რამოდენა აზრის მომცველი სიტყვაა
ცხოვრების ჟინი
ჰერანგს შემოიცვამს და ბრეტელებს მხრებზე გადაიჭერს
ქვემოდან ზემოთ ამოცმა უფრო რთულია
ვიდრე ზემოდან ქვემოთ ჩამოცმა
ფეხსაცმელზე იხედება.
დრო და დრო პირის ჩატკბარუნებაც კარგია
ფეხსაცმელს იპრიალებს, თან აგრძელებს
როცა გერგლიანი და ნიჭიერი ხარ
ყველაფერი გერგება
წელში იშლება, ფანჯრიდან იყურება
ვინც დედამიწაზე ვრჩებით
შედეგებს ვიმკით
ისევ მეგის უბრუნდება
ამ დროს იგი როიალთან ჯდებოდა
მოცარტს უკრავდა
მართალია ყველაფერს არასწორად
დილეტანტი ხომ მაინც და მაინც შედევრს უნდა შეეჭიდოს
ყველაზე წმინდას
გახსოვს დამწვარი კოტლეტი?
მარადისეული არაფერია
ყველაფერი სხვის მასხარად ასაგდები ხდება
მაგიდის უჯრას გამოსწევს და პატარა ჭიქიდან აბებს იღებს, პირში იყრის და უჯრას
უკან შესწევს

მაგრამ ანდერძს მაინც არ ვაპატიებ
ისევ მეგის მიმართავს
სანამ ის სასაფლაო არსებობს
იქამდე იქ იწვებაო
ასე დადგინდა
ესე იგი, ვერც იქ იქნება მარადიულად
არც წესი აუგეს
ვინმეს წაემღერა მაინც
სიტყვითაც არავინ გამოსულა
თორმეტ წუთში მორჩა მთელი რიტუალი
მათილდეს ფოტოსურათს ხელში იღებს და ცოტა ხანს ათვალიერებს
ჭაობიდან ამოვათრიე
ჩემ სახლში შემოვუშვი
ფოტოსურათს ისევ მაგიდაზე დებს
შედარებებით შეპყრობილი
საათს უყურებს, ფრაკს იცვამს, პერანგს ღილებზე იკრავს და კომოდის ქვეშ
დაწყობილ ფეხსაცმელს ათვალიერებს
ფეხსაცმლის ფეტიშისტი
ფახსაცმელზე გადარეული
ისევ საათს უყურებს
არ გვიყვარს, როცა იგვიანებენ
არაპუნქტუალურობას არავის ვპატიობთ
ფანჯარასთან ჯდება
ყოველ სამშაბათს ასე გვიშვება ის მამაძაღლი
პანტომიმის მსახიობი
ოჰ როგორ ვერ ვიტან სამშაბათებს
მსახიობის პროვოკაცია
ჩლიფინს რომ ვერ გადაეჩვია
ეგ ოპორტუნისტი ეგა
ქუჩას გადაჰყურებს
ინფანტილიზმი და სიდიადის მანიაა მისი სენი
ოთახს თვალს ავლებს
,,უ"-ს მკაფიოდ გამოთქმა უჭირდა
ვერც ღია ,,ო"-ს ართმევდა თავს
შ ი კ ვ დ ი ლ ი...
ი დ ი უ მ ა...
რაც მას დიდი როლები უთამაშია
სჯობდა არ ეთამაშა
ყველაზე ამაზრზენი კი ისაა
რომ ლოდინში დროს ვკარგავთ
საზრიანს ვერაფერს ვშვებით
ვოლტერი მაინც წაგვეკითხა
ანდა რაბლე
საკმარისია წიგნი გადავშალო
რომ ჩემი ნახევარ-ძმა გამოცხადდება
თითოქს განგებ მამცირებს

აბა კარგი მსახიობი ქალაქურ თეატრში გამოვა?
სამარცხვინოდ თარგმნილ შექსპირის პიესას აკნინებდა
ეგ უნდა გამხდარიყო ჩემი და მათილდეს აგარაკის მემკვიდრე
ცხოვრების მიწურულს მორიგი მამაძაღლობა მომიმზადა
მაღალ ხელოვნებას უანდერძა
თვალებში რომ შესციცინებდა
მისი ცხოვრების თანამგზავრი კი ცარიელ-ტარიელი დამტოვა
ხისტად
დახმარება კი მ ე მჭირდებოდა!
მ ე ვიყავი მუდამ გაკოტრების ზღვარზე!
მაგრამ წუწუნი არ მჩვეოდა
დიდ დიდი, მეტისმეტად ჩაკეტილი ვიყავი
ისევ მეგის უყურებს
ქალები კატასტროფალურ ანდერძებს ტოვებენ
არც კი რცხვენიათ
დგება და მაგიდაზე ორ ჭიქას დგამს
ვერაგობა და უსამართლობაა
ორივეს უყვარდა ღრუბლებში ფრენა
როგორ მაღიზიანებდნენ ამით
ჭიქებს ერთმანეთის საპირისპიროდ დგამს
ქალები მუდამ მსახიობს ეტრფიან
და არა არტისტს
მაგიდასთან ჯდება და ფეხებს შლის
უნდა გადამემალა ეგ დოკუმენტი
ადამაინს ელოლიავები
მასზე ზრუნავ
ის კი აგარაკს სხვას უმემკვიდრებს
თვალთმაქცობა მუდამ გვძულდა
ჩემო მეგი
წიგნს ფურცლავს
ისევე როგორც ორგულობა
ფლიდობა და სხვისი გაცურება
წიგნს გვერდზე გადადებს, დგება და ფანჯარასთან მიდის
ჩვენ არ შეგვიძლია რეგენერაცია ისე სწრაფად
როგორც ეს ადრე გვეგონა
ჯდება და ქუჩას გადაჰყურებს

მესამე სცენა

თხუთმეტი წუთის მერე
კარლი
ლოგინზე ჩამომჯდარი, ჰალსტუხი იკრავს
დენის და გაზის კომუნალური გადასახადები
ყველაფერი დავფარეთ

უკან იხედება
არაფერეი არ მოიხატება
თუ ავეჯი ხელახლა გადასაჭიმი გამიხდა
ნამდვილი ოსტატი უნდა მოვიყვანო
პირველი კლასის ხელოვანი
გაცვეთილი ავეჯი
ჩვენი დროის მახასიათებელი ნიშანია
რა საჭიროა ყველაფერი ახალი რომ იყოს
მაგრამ იქამდე არ უნდა მივიყვანოთ
რომ ქვეშ ჩაგვიტყდეს
ლოგინს ამოწმებს, ზედ ჩამოჯდება და ადგება
ორმოცწლოვანი ზამბარები
სამაგიეროდ ხელნაკეთია
სუსუფთავე აუცილებელია
თუმცა გაკრიალებულიც არ ვარგა
თუ ჩვენი თავი ძალიან მივუშვით
ჩვენც დავჩაჩანაკდებით
ეს არ უნდა დავუშვათ
ერთ დროს ფილოსოფობა მინდოდა
ანდა მწერლობა
ექსტრავაგანტული გამომცემელი მაინც
წიგნის მწერალ-გამომცემელი
რომანების არა
მხოლოდ ფილოსოფიის
არანაირი აღწერები
მხოლოდ ტვინში დადგენილი მოსაზრებები
ლოგინზე რამდენჯერმე ჯდება და მის გამძლეობას ამოწმებს
მართლმორწმუნე
უნივერსალური და მოუკრთამავი
დგება, ფანჯარასთან მიდის და გარეთ იხედება
მაღალსულიერი ფიგურა
ოღონდაც ბერი არა
საკათედრო ტაძრის მოღვაწე
სასულიერო სახელოვნება
არანაირი კონტაქტი ნათესავებთან
მხოლოდ სულიერი ნათესაობა
არავითარი დისშვილ-ძმისშვილების დამოძღვრა
ჩემი პენსიით ორი სული ვიარსებებთ-მეთქი
ვეუბნებოდი მათილდეს
ის კი თავის ქონებას მიმალავდა
ხმა-კრინტს არ სძრავდა
ხელიც არ მითხოვია
მარტოც მშვენივრად ვიცხოვრებდი
კარლს კი ჩლიფინი დედამისისგან გამოყვა
ეგეც და ეგრეთწოდებული მანერიზმიც
ყველას თვალში ხვდებოდა

მსახიობები გარკვეულწილად ჩერჩეტები არიან
ყველაზე გამოჩენილებიც კი
თავიანთ ჭკუაში უბრალოებას გაურბიან
ცხოვრების გამარტივება სურთ
მაგრამ ის მათ მაინც ატყვევებს
თვითოეულ მათგანს
ბ რ წ ყ ი ნ ვ ა ლ ე ა!
გ ა ნ უ მ ე ო რ ე ბ ე ლ ი ა!
ხალხისგან ოვაციების მოსმენა ესალბუნებათ
მაგრამ სინამდვილეში დილეტანტები არიან
რასაც ხელს არ მოკიდებენ
ყველაფერს აფუჭეებენ
ნასწავლი და დაზეპირებული
ზედაპირული ეტქსტები
ყველაზე მაღალფარდოვანსაც კი დაამდაბლებენ
მაგრამ რობერტი მაოცებდა უთავბოლო წინადადებების დაზეპირებით
რომელთა აზრს ვერც კი უწვდებოდა
ერთხელ გაკვრით ვკითხე
რას გულისხმობდი-მეთქი იმით
რაც წეღან გამოთქვი
ვერ მიპასუხა
არც იციან რას ლაპარაკობენ
ანდა რას თამაშობენ
ცხადია არც მე ვარ აბრამის ბატკანი
კონსეკუენტიზმი - შედეგობრიობა
ერთხელ შევეკითხე თუ რას ნიშნავდა გოეთეს ასოცდამეათე აბზაცი
ორმოცდამეექვსესთნ მიმართებაში
რობერტი დაითრგუნა
უფრო სწორად პასუხს თავი აარიდა
დამიძვრა
ოცდასამ ტალერზე დავენიძლავე
ეს ყველამ კარგად დაინახა
გულწრფელად რომ გითხრათ
სულ სხვაა ეფექტი მოახდინა
ლომის ეფექტი
ძმების არაფერი გვეტყობოდა
არც ღვიძლი და არც დედით ძმებისა
საათს უყურებს, ისევ ჯდება
ცოცხალმკვდარი რომ ვფართხალებდე
მაინც არ მოვა
რბილად რომ ვთქვათ
მაგას შეუწყნარებლობა ჰქვია
ჩემს ნაკლებზე არასდროს არ მილაპარაკია
ჩემს ხელოვნებას უკანა პლანზე ვანვითარებდი
ყველასგან ფარულად
გაციებისგან ტრაგედიას არ ვაწყობდი

ჩემ თავს პირველ პლანზე არასდროს ვაყენებდი
იხრება და ფეხსაცმელზე იხედება, დგება, ტილოს მოიტანს და ფეხსაცმელს გადაუსვამს
პენსსიას სრულიად დამსახურებულად ვიღებთ
გვარიანად ვიმუშავეთ
უმაღლეს დონეზე
ტილო პატარა მაგიდასთან მიაქვს და ზედ სდებს
წინასწარ ვიცი რომ ჩემ შემოთავაზებულ სავარძელზე არ დაჯდება
სხვას აირჩევს და ზურგით ჩემსკენ შემოაბრუნებს
კაბარეს მსახიობივით გარდი-გარდმო დაჯდება
თუ გეომეტრიასთან შეხება არ გვექნება
მსოფლიოს ვერაფერს გავუგებთ
ისედაც უკვე აგვერ-დაგვერია გემოვნებავ
ვიდრე დედა ძილის წინ წიგნს სანამ წაგვიკითხავდა
უკვე იძინებდა
დედას კი ეს გაუზრდელი ბავშვი უყვარდა
და არა დამჯერი შვილი
რასაც მაძლევდნენ
ყველაფერს მადლიერად ვიღებდი და ვითვისებდი
წიგნებს ბავშვობიდან ვშთანთქავდი
პროზას
პოეზიას
აფორიზმებს
სამივე ჩემშია გამჯდარი
ჩემი ძმა კი არ ვითარდებოდა
დილაობით ადრე ვდგებოდი
რობერტი კი ათის ნახევარზე კიდევ ლოგინში გორაობდა
ეგ არსაითი ეგა
მათილდეს კი მაინც აბოდებდა მასზე
მსახიობებს ფაბტაზია არა აქვთ
ყნოსვაც არ უვარგათ
ყველაფრის გაგებინება სჭირდებოდა
წყობიდან გამოვყავდი
ფუტუროთავიანი მსახიობები
მეორეს მხრივ რობერტი მაინც მიყვარდა
მასთან გატარებული მნიშვნელოვანი მომენტები ახლაც ცრემლებს მგვრის
მთელი ცხოვრება მასთან დაახლოებას ვცდილობდი
თან დამახრჩობელ ამაოებას ვგრძნობდი
საათს უყურებს, ფანჯარასთან მიდის, სკამზე ჯდება
ეგოისტი
ქვევით ქუჩას გადაჰყურებს
ეგოცენტრიზმი
არაპუნქტუალურობა
და სიზარმაცე
ჩემთვის არც ერთი არსდროს მიკადრებია
მეგის მიმართავს

ჩვენ ხალხი გვაკლია ჩემო მეგი
მარტოობა ძალიან გაგვიგრძელდა
თავს ვიკატუნებთ
თითქოს მარტო ყოფნა შეგვეძლოს
სისულელეა
არაფერიც არ შეგვიზლია
პიჯაკს იხსნის, დგებ, და ისევ ჯდება
არაპუნქტუალურობა ადამიანის არასანდოობას ავლენს
ქალაქ მეცის თეატრში ერთხელ დიადი დღე მქონდა
დირექტორს ვუთხარი
ოცდაორიათასი ტალერის ჩეკი გამომიწერე-მეთქი
ოღონდ ნურაფერს მკითხავთ და ინ იღელვებთ
დირექტორმა ჩეკი ჩუმად გამომიწერა
მთავარი გამებდაობა და თავდაჭერილობაა
პიჯაკის ჯიბიდან ბლოკნოტს იღებს, გადაშლის
მათილდე პელცს
ჩვენს ძმისშვილს
არა
ბლოკნოტს ჯიბეში აბრუნებს,
ჩვიდმეტწლისას უკვე ბოდლერი მქონდა წაკითხული
ცხრამეტისას კი რასინი
მას კი არც ერთი და არც მეორე
თემა რომ შევცვალოთ
ერთ ეპიზოდს გავიხსენებ
აღმოსავლეთის სადგურთან ერთი გოგონა შევნიშნე
და მხრებზე წაულას ქურქი შემოვახვიე
საათს უყურებს
ცხოვრების მიწურულს თითქმის აღარაფერი გვჭირდება
ორი პიჯაკიც გვყოფნის
ორი შარვალი
ორი წყვილი ფეხსაცმელი
კბილის ჯაგრისიც კი აღარ გვადგია
ოთახს თვალს შემოავლებს
სანამ რამე ახალს შევიძენდეთ
უნდა დავფიქრდეთ თუ რაში დაგვჭრდება
ჩვენი ნება რომ იყოს ლოგინიდანაც არ ავდგებოდით
ასეა და რას იზამ
იატაკზე იხედება
მაგრამ ამის გამო თავსაც არ ვიკვლავთ
კურიოზია, არა?
დგება და მაგიდასთან მიდის, წიგნს იღებს და ფანჯარასთან ჯდება, წიგნს გადაშლის თუ არა, კარზე ზარს რეკავენ. კარლი ჯიქურ წამოხტება

სცენა მეოთხე

ათი წუთის შემდეგ
კარლი და რობერტი დიდ მაგიდასთან ჯდებიან
რობერტი სქელ ზამთრის პალტოშია გახვეული
კარლი
მენატრება
ოცდაათი წელი ვიცხოვრეთ ერთად
ყველაფერს ვინაწილებდით
კარდიომიოპათია მაწუხებს
უცნაური დასახელებაა
გული წამში ერთხელ მიცემს
დღეს მეგონა რომ ლიფტის გარეშე ამ საფეხურებს ვერ ამოვივლიდი
ძეხვით და რძის ბოთლით ჩანთაში
ჩემ თავზე უფრო მეგის ბედი მადარდებს
პირდაპირ რობერტს მიმართავს
პალტო მაინც გაგეხადა
მაღიზიანებს
რობერტს პალტოს გახდაში ეხმარება
ლამაზი პაპისეული პალტოა
ტანსაცმელს თავისი ისტორია აქვს
პალტოს კარებზე ჰკიდებს, უკან ბრუნდება და სკამზე ჯდება
ნამდვილი შოტლანდიური მატყლია
ჰებრიდების კუნძულებიდან
ჩვენ იქამდე გვიყვარს ჩვენი ტანისამოსი
სანამ ზედ არ ჩამოგვეფლითება
ჩაფიქრებული
გეომეტრიამ ჯერ კიდევ სკოლაში გამიტაცა
ისევე როგორც ზოგადად მათემატიკამ
მუსიკასაც მაგან მიმაჩვია
როგორც გავიგე გაურეკავს იმ მკერავს
პაპაჩვემას ეს პალტო რომ შეუკერა
უცბად რობერტს ეკითხება
ჟურნალი თაიმსი ხომ არ მომიტანე?
რობერტი პიჯაკის ჯიბიდან ჟურნალს იღებს, რომელსაც კარლი გამოართმევს და გადაშლის
კარლი
დღე არ გადის
თაიმსი რომ არ წავიკითხო
უკვე წლებია რაც აღარ ვიწერ
რაკი შენ გაქვს გამოწერილი
ხანმოკლე პაუზის შემდეგ
მაშ მორჩა მისი გამოსვლები
რობერტი
ოქროს ჯილდო რაც მივიღე
კარლი
ჟურნალს ფურცლავს

რაც ოქროს ჯილდო მიიღე
ჩაი მაინც დაგელია
ანდა მინერალური წყალი
თირკმელებისთვის კარგია
ჟურნალს მაგიდაზე დებს
ექიმი რას გეუბნება
იყავი უკვე
რობერტი
შემამომწმა და საშიში არაფერიაო
კარლი
ღვიძლიც წესრიგში გაქვს?
რობერტი
წუნდაუდებელი ღვიძლია
კარლი
არყისგან და მაგდაგვარისგან ხომ თავს იკავებ
რობერტი
არ ვეკარები
მათილდეს გარდაცვალების მერე არც მომდომებია
მთელი დღე ვზივარ და იატაკაზე ვიყურები
აი აქ მტკივა
ხელს მუცელზე იდებს
ნაღვლის ბუშტი უნდა იყოს
დგება და მინერალური წყლის და ორი ჭიქის მოსატანად მიდის, ორივეს შეავსებს
რობერტი
მეფე ლირის თამაში ხელახლა ვცადე
მაგრამ ტექსტი მავიწყდება
სიტყვებს ვეღარ ვიმახსოვრებ
პარკში დავხეტიალობ
ვითომ რამეს მშველოდეს
მათილდეს საფლავზე ვიყავი
მთელი მცენარეულობა გამხმარია
ალბათ ჯობდა სხვა მებაღე აგვეყვანა
მაგრამ ახლა რა გაიზრდება
როცა კარზე შობა-ახალია წელია მომდგარი
ჩემი აბები ვიყიდე და სახლში მივიტანე
არავის არ ველაპარაკები
ამერიკიდან წერილები მივიღე
ყველა გადავხიე და ნაგავში ჩავუძახე
ხალხი მოწყენილობისგან იწერება
სხვა მიზეზი არ არსებობს
ექიმი მირჩევს რომ არაზას კურორტზე დავისვენო
ორიათას მეტრ სიმაღლეზე
მაგრამ შეიცარიაში წამსვლელი არა ვარ
ხან ფილტვი მაწუხებდა
ხან თირკმელი
ხან ელენთა

ახლა კი ნაღვლის ბუშტიც შეემატა
ერთ ყლუპ მინერალურ წყალს მოსვამს
ბრამსს ვუსმენდი
ლოგინზე წამოწოლილი
ჩაცმული
თვალებდახუჭული ვფიქრობდი
კარლი ერთ ყლუპს მოსვამს, ჟურნალ თაიმსს იღებს და ფურცლვას იწყებს
რობერტი
ჯერ კიდევ როდის ვთქვი
ორმოცდაათი წელი რომ შემისრულდება
თამაშს მოვრჩები-მეთქი
არათანამიმდევრულობა ბრალია
ორმოცდაათსაც გადავაბიჯე
სამოცსაც
სამოცდააცსაც
მაგრამ დანაპირები არ შევასრულე
კარლი
ადამიანი არ იცვლება
ცხენის ჭენებაზე რა აზრის ხარ
ცხენოსნობა ხომ არ გეცადა-მეთქი
შენს ადგილას სიამოვნებით ვივლიდი
ოქსერი გაგიგია?
ირლანდიელ ოფიცრები
ყველას ჯაბნიან ჭენებაში
მხედარი ათლეტური წყობის უნდა იყოს
თუ კისრის მოგრიხოს არ უნდა რომ
ისევ ჟურნალს ფურცლავს
მდიდარი ხალხი კარგად გამოიყურება
ელეგანტურად
ნაკითხი პუბლიკაა
ცხენოსნებისთვის კი განათლება აუცილებელი არაა
ცხენები ხომ საერთოდ ტუტუცები არიან
ცხოველებში ყველაზე ჭკვიანები ღორები ყოფილან
იმიტომაცაა შეუძლებელი მათი გაწვრთნა
წარმოიდგინე
ოლიმპიური ჩემპიონი ცხოველთა გაწვრთნაში
გამოჩენილი ღორის ნომერი
რამოდენა სენსაცია იქნებოდა
თუმცა აქამდე არავის გამოსვლია
თოკზე ამძვრალი ღორი შაპიტოს ჭერში
ან კიდევ თავზე დამდგარი
ჟურნალის ფურცლვას განაგრძობს
რობერტი
მათილდე სწორს მეუბნებოდა
ერთი ექიმიც გეყოფა
ვიდრე რამდენიმემ მოგიღოს ბოლოო

პომიდვრის წვნიანი მომიხდა
მწვანე სალათის ფოთოლიც
წვრილად ნაკეპი თევზი
კარლი
ჩაცმას ყოველთვის ინტერესით ვუდგებოდი
მოდას არასოდეს ჩამოვრჩებოდი
ჩემს გემოვნებასაც არ ვემდუროდი
კომპლიმენტებსაც ხშირად ვისმენდი
რომ ელეგანტურობაში ტოლი არ მყავდა
ძვირი ხალათები მიყვარდა
ხალხის მოსაზრებები კი სულ არ მაინტერესებდა
ჟურნალს ფურცლავს
მექსიკა
ატლანტიკური ოკეანის გადაცურვის მეშინოდა
განუზომელად
თორემ სიამოვნებით ვიმოგზაურებდი
რამდენიმე დღე გემბანზე დგომა და ხმელეთზე ჩასვლის შეუძლებლობა მთრგუნავდა
რობერტი
მათილდე ირწმუნებოდა
მეგი ცალ თვალზე ბრმა არისო
წარმოგიდგენია
თვითონ როგორ დაადგინა
კარლი
მოდენაში სამი წლის ბავშვს იმდენი ფორთოხლის მურაბა შეუჭამია
რომ სული განუტევა
ჟურნალს გადადებს
მეგი ცალ თვალზე ბრმა არისო
გარკვეულწილად შეშლილი იყო
ბავშვობიდან მოყოლებული
ჩემი კეთილი მათილდე
მაშ ცალ თვალზე ბრმა არისო
რობერტი
მარცხენაზეო
ამის დამადასტურებელი საბუთიც ჰქონდა
ჩიტისთვის კვლევა ჩაუტარებია
კარლი
კვლევა
რობერტი
ასე მითხრა
ჩავუტარეო
კარლი
ნეტა როგორ
რობერტი
რომელიღაც თავისი მოგონილი მეთოდით
კარლი
მართლაც ვერ იყო დალაგებული

კვლევები რამ მოაფიქრებინა
თაიმსის ჟურნალს იღებს და ფურცლავს
კორიდა მუდამ მძულდა
ესპანეთი კი მიყვარდა
კათოლიკური ეკლესია მუდამ ფარისევლობდა
ჩემი გამოსვლები ორმოცდასამი წლიდან დავიწყე
შენ კი მოგვიანებით
იმიტომ რომ გავბედე
კომუნლაური გადასახადის გამო არ მიქნია
გასაჭირმა არ მაიძულა
ფული არაფერ შუაშია იყო
მხოლოდ ჩემმა მსოფლმხედველობამ
მსოფლიოს დანახვის უნარმა
რა საზიზღარი ფიგურაა ეს რომის პაპი
პირდაპირ რობერტს მიმართავს
ახალი სახელმწიფო სესხი ხომ არ აგიღია?
რობერტი
არა
კარლი
აქციებზეც ნუ იფიქრებ
გაფრთხილებ
ჟურნალის ფურცლვას აგრძელებს
იცი ერთხელ ატერის ტბაზე მონაზონი როგორ გადავარჩინეთ
მან კი მადლობაც არ გადაგვიხადა
რობერტი
შეიძლება ცერმატზე გავემგზავრო
ხომ არ გამომყვებოდი?
კარლი
ვერ დაგპირდები
რობერტი
პირველი კლასის სასტუმროში დავბინავდებით
სასტუმროს საუკეთესო ოთახში
საუკეთესო კვებით
საუკეთესო მომსახიურებით
ნუთუ არ გიზიდავს
კარლ
არა
დიდად არა
რობერტი
ანდა ბოდენმაისში წავიდეთ
მათილდესთან ერთად რომ ვიყავით
კარლი
ხომ იცი როგორ ვერ ვიტან ბავარიულ ტყეებს
თხებიც რომ გესალმებიან
გაზეთს გადადებს, ოთახს თვალს შეავლებს
თუ ამ ბინას რამეს დავამატებდი

წნული სავარძელი იქნებოდა
მსუბუქი და მყუდრო
ძველ დროს რომ იყო წნული ავეჯი ისეთს
მაგრამ სად ვიშოვო
ამ ოთახს ორი ასეთ სავარძელი დაამშვენებდა
ორივენი გემრიელად რომ მოვკალათებულიყავით
ეს სავარძლები არ ვარგა
გინდა შვარცვალდის და გინდა ბავარიული ხისგან იყოს
გინდაც შვეიცარული ტყისა
ამ სავარძლებში მოხერხებულად ვერ ვზივარ
უბრალოდ ჩვენი ბებიის მემკვიდრეობაა
სავარძელს უყურებს
სლოვაკური ნამუშევარია
ეგრეთწოდებული მოღუნული ხისა
იმ დროს გაუგონარი სიახლე იყო
ისევ ჟურნალს ათვალიერებს
რობერტი
ორშაბათს რენტგენზე მივდივარ
ამას წინათ ლაბორატორიაში ვიყავი
კოპენჰაგენში წერილი მივწერე
მე ხომ მიყვარდა წერილების წერა
შიგადაშიგ
მიჩვევის ამბავია
გაღვიძება დაძინებასავით
თან წერით ღამეებს ვიმოკლებ
ნეტა ედითმა თავისი მაღაზია თუ შეინარჩუნა
შეიძლება სულაც გადასახლდა დანიიდან
მეზობელ მალმიოში გადავიდა
მათილდეს გარდაცვალებამდე ორი დღით ადრე
მე და ის რაღაც ჩინურ ბისტროში შეევედით
კუჭი გავიფუჭე
ვერ ვიტან ჩინურ სამზარეულოს
ნაწელავებს ამოგწვავს
იცი რომ მას კანადაში ძმა ჰყავდა
ქორწინებაგარეშე კავშირიდან
სადღაც ოტავას მახლობლად
კარლი
ჰო ვიცოდი
რობერტი
ჩემთან კი ამაზე არასოდეს ულაპარაკია
დანარჩენი ყველაფერი ვიცოდი
მის ძმას თავი მოუკლავს
მრავალსართულიანი სახლიდან გადმოხტა
სამოცდაოთხი წლისა
ოცდაჩვიდმეტ წელს გადასახლებულა კანადაში
ხე-ტყის მასალით ვაჭრობდა

დაქორწინებული და ორი შვილის მამა
ცოლთანაც ცხადია არ გაუმართლა
ერთ ყლუპ წყალს მოსვამს
ალასკის ექსპედიაციაში ნამყოფი
დროდადრო მიწერ-მოწერა ჰქონდათ
უნდა გენახა
კარლი
ჰო
რობერტი
შენ ამას პირველად მეუბნები
კარლი
არა
რობერტი
სახლის კატების ეშინოდა
განა უცნაური არაა
რომში გული გადამიშალა
პინჩოს გორის ესპანურ კიბეებზე
თურმე მუდამ შენ ყვარებიხარ
ჰოტელ დე ლა ვილში რომ გავჩერდით
შენი საყვარელი ჰასლერის გვერდით
რომის პაპის ნახვა სურდა
კათოლიციზმს ვერ შელეულიყო
შენმა გავლენამაც კი ვერ უშველა
ვერც მისმა საყვარელმა რუსულმა ნოველებმა
რაც კი შეგეძლო ყველაფერი ასწავლე
ათვისების ნიჭი ჰქონდა
მეგისთან განსაკუთრებული ურთიერთობა აკავშირებდა
მაგრამ შენ მისგან მეტს ითხოვდი
როგორც გჩვევია
ყველასგან მაქსიმუმს ითხოვ
რამდენადაც არ უნდა დაგიჯდეს
ნამდვილი პერფექციონისტი ხარ
კაცთმოძულე პერფექციონისტი
კარლი
წინ ისევ გადაშლილი ჟურნალი უდევს
ჯიშიან ძაღლებს ვერ ვიტანი
ხალხი პარტნიორს რომ კარგავს
როგორც წესი ძაღლი აჰყავს
ჰგონია რომ დანაკარგს აუნაზღაურებს
ძაღლი კი მათ მთელი დღის განრიგს კარნახობს
იმის ჭკუაზე დადის პატრონი
რივიერაზე მოგზაურობას თუ მოისურვებ
ძაღლს ანგარიში უნდა გაუწიონ
ძაღლს კი არ უნდა მგზავრობა
არც ინდოეთში
არც ლონდონში

ორთქლის აბანოშიც კი უკრძალავს წასვლას
პატრონი კი მას ისეთ გემრიელ საჭმელს უმზადებს
თავისთვის რომ არ მოუმზადებია
ერთი ოქსფორდის ოფიცერი თავის ძაღლს ეკითხებოდა
შენ ხომ არ წაიკითხავ ლექციასო
ძაღლი რომ დათანხმებულიყო
წააკითხებდა კიდეც
ძაღლს კი უარის თქმა რომ შესძლებოდა
ალბათ არც პატრონს წააკითხებდა
ორმოცდახუთი წლის წინ
ერთ ჩრდილოირლანდიელ კაცს ვიცნობდი
რომელსაც ძაღლი ისე გაეწვრთნა
რომ ღამით საბანს იფარებდა
ჟურნალს ფურცლავს
რობერტი
ალბათ მეფე ლირი ადრე უნდა მეთამაშა
ათი ან თხუთმეტი წლის წინ
ან კიდევ უფრო ადრე
დღეს რომც შემძლებოდა
მაინც არ გამომივიდოდა
ჩემთან ვინც თამაშობდა ყველა გარდაცვლილია
სამსახიობო სახლის დირექტორებიც
ბედზე ტასოს თამაში მაინც მოვასწარი
შენც ხომ გიყვარდა ტასო
კარლი
თანაც როგორ
რობერტი
ცხოვრების მიწურულს მწერლმა თავი გალიაში დაიმწყვდია
ბრწყინვალე რამეა
მაგიტომაც ვითამაშე ასზე მეტჯერ
სანამ ფეხს მოვიტეხავდი
დარბაზში ტევა არ იყო ხოლმე
კარლი
ჟურნალს ფურცლავს
სოციალური თვალთმაქცობა
ბლუყუნი მსოფლიო მშვიდობაზე
უცბად
თოლიებს შეხედე
რობერტს თაიმსში გადაშლილ გვერდს აჩვენებს
თოლიის ფრენა მუდამ მიტაცებდა
ზღვის ყურებაზე არანაკლებ მიყვარდა
სივრცე
ინგლისურ სტილში ფოტოსურათების გადაღება
მაგრამ ამისთანა მომენტის დაჭერა ყველას არ შეუძლია
ჟურნალს გადაფურცლავს
რობერტი

ჩვენი აგარაკის კეთილმოწყობა გვმართებს
ერთი-ორი ხეც უნდა დავრგათ
სხვებს კი აქა იქ ტოტები დავაჭრათ
მთელი ნაკვეთი ბალახის საფარით უნდა დავფაროთ
ზამთარში ერთი წვეულება მაინც გავმართოთ
კარლი
შეძლებისდაგვარად
შეძლებისდაგვარად
რობერტი
იქნებ ერთი ჭაც გაგვეთხარა
კარლი
იქნებ გაგვეთხარა
რობერტი
ვფიქრობ რომ ბუხარიც იმუშავებს
ორივენი ძალიან მყუდროდ ვიქნებით
კარლი
ჰო
შეძლებისდაგვარად მყუდროდ
თაიმსის ჟურნალს მაგიდაზე სდებს, ორივენი მინერალურ წყალს მოსვამენ
დედა ასე ადრე არ უნდა გარდაცვლილიყო
ოჯახმა შეიწირა
კლასიკური ისტორია
ოჯახურ ჭაობში ჩათრევა
ფეხებს შლის
რას გეუბნება სიტყვა ,,გალანტური ტანსაცმელი"
რაღაც აზრები აუცილებლად უნდა აღგიძრას
დგება და ფანჯარასთან მიდის
ქვევით ქუჩას გადახედავს
თუ შენში ოდესმე რამე მძულდა
შენი არაპუნქტუალურობა
საყვედურად არ ჩამითვალო
ამას სიყვარულით გეუბნები
თუ დაკვირვებულხარ
ჩვენი პაპის საყვარელი სიტყვა დისციპლინა იყო
ჩვენი დედის მამისა
ქალის კომოდთან მიდის, შიგნიდან ქურქს გამოიღებს,
შემოიცვამს და პოზირებს
ვენეციაში ვუყიდე
ზედ გრიტის სასტუმროს კუთხეში
მან კი სულ ორჯერ ჩაიცვა
ფანჯარასთან მიდის და ისევ უკან ბრუნდება, ისევ ფანჯარასთან მიდის და ერთ ხანს წინ და უკან დაიარება, ბოლოს რობერსტ უბრუნდება
ლუქსის მოთხოვნილება მე მქონდა
და არა მას
იგი უბრალოებას განასახიერებდა

სცენა მეხუთე

თხუთმეტი წუთის მერე
კარლი მაგიდასთან ზის
რობერტი მუსიკალურ ოთახში შედის და მოცარტის სონატის დაკვრას იწყებს, ~
რომელსაც მათილდე უკრავდა ხოლმე

კარლი

წინ გაშლილი ფეხებით
ისტორია მუდამ მიტაცებდა
განსაკუთრებით ნაპოლეონის ეპოქა
ზოგადად მეცხრამეტე საუკუნე
მეოცეს უდაოდ მერჩივნა
ასე ვთქვათ კონტრასტი
გონიერების და ბრუტალურობის შორის
თავისუფლების და მონადმფლობელობის
ბრძოლა განათლების სამყაროსა
და ეშმაკისეული სიბნელის შორის
თითქოს ახლაღა გაიგონა რობერტის დაკრული
პედალს თითქმის არ ხმარობს
ნამეტანი კეთილსინდისიერად უკრავს
ამასთან ერთად უტემპერამენტოდ
ამას მუსიკალურ გონებაჩლუნგობას ვეძახი
საკმარისია
კმარა დაკვრა
აღარ შემიძლია უკვე მაგ სონატის მოსმენა
ოცდაათი წელი ვისმენდი
მეტი აღარ მინდა
თორემ გარყვნილებაში გადამივა
რობერტი დაკვრას რჩება

კარლი

რა აუცილებელია დავუკრათ
როცა ამდენი გამოჩენილი მუსიკოსი გვყავს
ფირფიტებიც თავზე საყრელად
ოცდათი წელი ყურები ბამბით უნდა დამეცვა
თუმცა მათილდეს ხათრით არ ვშვებოდი
ზოგადად ადამიანების ხათრით
სათნოებით
უფრო ვუთანაგრძნობდი
ოცდათი წელი ვიკავებდი იმის თქმას
რობერტი ჯახუნით ხურავს როიალის სახურავს და ოთახიდან გამოდის.

კარლი

ჩემს ყურებს მაინც გაუფრთხილდი
მაგდენის ნერვები სად მაქვს
ჯერ გლოვას არ მოვრჩენილვარ

რობერტი მაგიდასთან ჯდება
კარლი
ეგონა ერთი კომპოზიციის გაკვეთილით დაკვრას ისწავლიდა
მე მუსიკოსი არა ვარ
მაგრამ რაღაც მაინც გამეგება
მუსიკალური სკოლის ბევრ მოწაფეზე მეტიც
ვიცი მაინც რას ვუსმენ
საწყალი ჩემი ყურები
რისი მოსმენა უწევდათ ბოლო ოცდაათი წლის მანძილზე
საერთოდ რა არ გამოგვივლია ცხოვრებაში
იმის გახსენებაც კი შიშის მომგვრელია
რობერტი
ერთხელაც ვცადე დაკვრა
მოგონებებში გადავვარდი
მაგრამ არ გამომდის
მათილდეზე უარესი მუსიკოსი ვარ
კარლი
პირიქით
მასზე გაცილებით უკეთ გამოგდის
იმიტომაც აღმიძრე გრძნობები
წარმოიდგინე
ოცდაათი წელი დილეტანტიზმს ვითმენდი
კაკაფონიის მნხვერპლი ვიყავი
რობერტი
პიანინოზე დაკვრა ყოველდღიურ რეპეტიციას ითხოვს
მე კი დაკვრას წლების წინ შევეშვი
კარლი
კი მარა რაში გარგია
კარგად დაკვრა მაინც არ შეგიძლია
ცუდი დაკრული კი უარსეად გხდის
მათილდეს ძლივს ვუთმენდი
სხვა თუ არაფერი
ჩემი ცხოვრების თანამგზავრი იყო
მაგრამ თუ ჩემი ხათრი გაქვს
ნუ დაუკრავ
მითუმეტეს მოცარტის სონატას
რობერტი
მოშლილია შენი პიანინო
კარლი
კიდევ ეგღა აკლდა
ხანმოკლე პაუზის შემდეგ
მიუხედავად ამისა
აუქციონზე არაფერი გავა
ყველაფერი ხელუხლებლად დარჩება
იქ სადაც იდგა
მითუმეტეს რომ ხალხს მაინც არ უყვარს ნახმარში ფულის გადახდა

არავითარ შემთხვევაში
სარგებლის გამორჩენა წარსულს ჩაბარდა
რობერტი
არ გირჩევნია ამ ხარახურისგან განთავისუფლება
კარლი
რად მინდა განთავისუფლება
რისგან
მათილდეს მოგონებებისგან
რობერტი
ბრამსიც უყვარდა
კარლი
რასაკვირველია
აბა რა
რობერტი
სულ კლასიკური რომანტიზმისკენ იხრებოდა
კარლი
ეჰ
მუსიკალური სმენაც რომ ჰქონოდა
მე კი სრულყოფილი მაქვს
მაგრამ არ ვუკრავ
რობერტი
თანაც მუსიკალური განათლების პატრონი
შეიძლება ითქვას მუსიკალური ფილოსოფოსი ხარ
კარლი
რაკი შენ იტყვი
მუსიკა ჩემთვის მუდამ ყველაზე მაღალფარდოვანი იყო
შეიძლება ეკვილიბრისტიკაც
ანდა ერთგვარი უხერხულობაც
ალბათ ეგა
მუსიკას რომ გავყოლოდი
გარკვეულ დონეს უდაოდ მივაღწევდი
მაგრამ არტისტობა ვამჯობინე
მაშინ როცა შენ უფრო მუზის გჯერა
მსახიობობა მუზის დარგია
არტისტობა კი სხვა რამეა
ამას წინათ ერთი სტატია წავიკითხე
მსახიობთა გრძნობების სიგრილის აუცილებლობაზე
ძალიან საინტერესო იყო
ამ ურთიერთკავშირებზე მეტიც უნდა დაწერილიყო
მსახიობები ყოველთვის მაინტერესებდნენ
ოღონდ მნიშვნელოვანი მსახიობები
მარტო თეატრის ფარდაა იმის ღირსი
რომ ფილოსოფოსი მისი მნიშვნელობის გარკვევას შეაბერდეს
წამოიყვირებს
გესლიანია ის ზედსართავი
რომელსაც აქამდე ვეძებდი

წამოხტება და ფანჯარასთან მიდის, ისევ ოთახისკენ შემობრუნდება
არაა გამორიცხული
რომ საესტრადო უნარ-ჩვევების გარეშეც მეარსება
ერთგვარ ხელოვანად
რომელსაც მუზის არ სჯერა
რაღაცას უსათუოდ მივაღწევდი
შეიძლება სახელიც მომეხვეჭა
ყველაზე მეტად განთქმულება მიტაცებდა
სენსაციის მოხდენაც
უნიკალურობა
ლოგინთან ბრუნდება და ზედ ჯდება
ცამეტი წლისაც არ ვიქნებოდი
როცა ბატუტზე ხტუნვისას მომაფიქრდა
რომ თეფშებზე საჭმლის ინსტალაციებზე მემუშავა
რობერტს მიბრუნდება
შენ კი დაბადებული მსახიობი იყავი
რობერტი
ოღონდ ზუსტად არც ვიცოდი ვის ვთამაშობდი
უბრალო ინტერპრეტეცია უფრო იყო
კარლი
პოდიუმზე თვითწარმოებას ცდილობდი
თვითგამოხატვას
შენ იურისტი უნდა გამოსულიყავი
მაგრამ მსახიობად დაიბადე
გახსოვს რომ ოცდაერთწლის იყავი
როცა ბად კანშტატში ოთხმოცი წლის ბეხრეკი ითამაშე
რობერტი
მახსოვს
კომედია იყო
კარლი
მართალი ხარ
რობერტი
ინგლისელ მწერალს ვთამაშობდი
მეცხრამეტე საუკუნისა
კარლი
ვიქტორიანული ლექქსის ზომა
კატასტროფული თარგმანი
რობერტი
უბედური თვბითმკვლელი მწერალი
თემსის მდინარეში თავი დაიხრჩო
როცა ასაკში შესული საყვარელმა მიატოვა
მე კი ასაკში ბებრებს ვეღარ ვთამაშობდი
ოცდათხუთმეტ წლამდე კი მშვენივრად გამომდიოდა
წლიდან წლამდე ხან ვიღაცის ძმისშვილს ვთამაშბდი
ხანაც დისშვილს
ჩაფიქრებული

ციურიხში ფაუსტი ისე ვითამაშე
რომ ვნების ნატამალს ვერ ვგრძნობდი
მოდებილო მეფისტოფელის გვერდით
სჯობს ნურც გავიხსენებთ
რობერტი
რვათვიანი გასტროლების დროს მხოლოდ ერთხელ გამაკრიტიკეს
თუმცა ვნებით არასდროს მითამაშია
კარლი
უნდა გამოგიტყდე
ყოველი მორიგი გამოსვლა
როგორც წესი განსხვავდებოდა წინასგან
მაღალ დონეზე ვასრულებდი
თუმცა უმაღლესზე ვერა
უმაღლესზე ვერა
ექო კარგი იყო
მაგრამ ისეთი ვერა
როგორც სცენაზე
შენც კარგად გეცოდინება სხვაობა
ვარიეტეს და ქალაქურ თეატრს შორის
რობერტი
მე მზამზარეული არაფერი მიმიღია
კარლი
არც შენ და არც მე
რობერტი
თეატრი მხოლოდ თავის სარჩენი საშუალება იყო
სხვა არაფერი მეგბადა
კარლი
გარკვეულწილად ყველას გვჯერა
რომ სწორ გზას ვადგავართ
საბოლოოდ კი ჩიხში ვხვდებით
რობერტი
ხელოვნება ნაკლებად გვადარდებს
ვიდრე ხალხში გასვლის საშუალება
გვეშინია რომ ცხოვრებაზე ხელი არ ავიღოთ
მარტონი რომ არ დავრჩეთ
არ დავჩაჩანაკდეთ
კარლი
მთელი ოჯახი ამუსიკალური გვყავდა
ჩვენ მაინც მოვახერხეთ და ვისწავლეთ
თუმცა ამუსიკალურად
არა შემოქმედებითად
რობერტი
შემოქმედებაც და ხელოვნებაც ხელოვნური წარმოდგენაა
ჯერ იურისტი გამოხვალ
მერე სცენაზე გახვალო
თუმცა დავუძვერი მაგ მიკიბულ-მოკიბულ გზას

მამაჩემთან კავშირი გავწყვიტე
საბოლოოდ
გარკვეულწილად დედაჩემთანაც
მაგრამ მას მაინც სწამდა
რომ ჩემგან რამე დადგებოდა
კარლი
შენს პირს შაქარი
ერთი რამ კი ცხადია
მშობლები თავისუფლად სუნთქვას არ გვაცლიდნენ
რობერტი
თავის მოკვლამდე ცოტაც დამაკლდა
ახლა ამას ისე ვამბობ
ვითომც არაფერი
იმ დროს კი სულ მაგაზე ვფიქრობდი
წიგნის კითხვით ფიქრები სხვაზე გადამქონდა
თუნდაც მარგინალური პროზით
თვითმკვლელობამდე კი გამბედაობა დამაკლდა
კარლი
სუსტი და გულმტკივნეული იყავი
რობერტი
სამაგიეროდ ოჯახს კაპიკს არ ვთხოვდი
თავს კერძო გაკვეთილებით ვირჩენდი
და მაინც არაფერს ვიკლებდი
კარლი
ოთახს თვალს შეავლებს
აქ სულაც არ ცივა
მაგრამ მაინც მამცივნებს
შეცვლით კი აქ არაფერს შევცვლი
გარდა ორი ახალი დაწნული სავარძლისა
თუმცა ძველზე მაინც არ გავცვლი
აქ არა

სცენა მეექვსე

თხუთმეტი წუთის მერე
რობერტი მაგიდასთან ზის და წიგნს კითხულობს
კარლი
გალიასთან დგას და მეგის მისჩერებია, უცბად წამოიძახებს
ისეთი სითბო მაინც არსად მქონია
ბუდეში რომაა
რობერტს მიუბრუნდება
შენ თავს ალბათ გარიყულად გრძნობდი
სასოწარკვეთილების ზღვარზე აღმოჩნდი
მე კი თავს ვიცავდი
მშობლებს ჩემი გონებრივი განვითარების შეკავებაში არ ავყევი

მათთან გარიგებაზე არ წავსულვარ
მუდამ ფხიზლად ვიყავი
დამოუკიდებლობაც მაგ თავდაცვამ მასწავლა
სულიერად გამაძლიერა
რობერტი
მე მათ მხოლოდ ჩემი სნეულების გამო ვუყვარდი
კარლი
ხმამაღლა
სნეულება არა ისა
შენ თვითონ შთაიგონე
შენი ჰიპოქონდრიით
რობერტი
ჩვენ მუდამ გაორებული ურთიერთობა გვქონდა
ძმური მაგრამ გაორებული
მე კი დამცირებული დავრჩი
ოცი წელი დამცირებაში გავატარე
შეიძლება ოცდაათიც
ძლივს გავიმართე წელში
ერთი ორდინალური ოჯახი
სრულიად კატასტროფული გამოვლინებებით
რომლებიც ოჯახის შვილებზე აისახა
იხრება და იატაკზე დაწყობილ ფეხსაცმელს ისწორებს
ალბათ ორივემ დავიმსახურეთ
ის რაც გვხვდა წილად
აღმზარდელისგან ყოვლად სამარცხვინოდ მიტოვებული ბიჭები
სათამაშოებსაც კი თვითონ ვიმზადებდით
არც სხვა ბავშვებს ვხედავდით
და არც უფროსებს
არავის მშობლების გარდა
ახალი სახე გვენატრებოდა
ჩვენმა დამ კი დრო იხელთა და გაუჩინარდა
თავიდან სათნო არსება იყო
რომელსაც ჩემგან თავი შორს ეჭირა
თუმცა სწორედ ამან გამაძლიერა
საკუთარი თავის რწმენა შემძინა
რობერტს მიმართავს
შენ კი ამის ყოველთვის გეშინოდა
პაუზა
დღემდე გეშინია
რობერტი
თვითრწმნენას სნეულებები მართმევდნენ
კარლი
წარმავალი ხელის შემსვლელი ფაქტორები
სხვა არაფერი
რობერტი
ფილტვმა ახალგაზრდობაშივე შემაწუხა

მერე თირკმელი დაემატა
კარლი
მაშ მაშ
ჯერ ფილტვი
მერე თირკმელი
დგება და იატაკიდან ფეხსაცმელს იღებს
ბად ჰომბურგში ვიყიდე
ხელითაა შეკერილი
ოცდათხუთმეტი წლისაა
და მაინც ახალივით გამოიყურება
რობერტი ფეხსაცმელს უყურებს
კარლი
მაშ
კაი დრო იყო
ფეხსაცმელს ისევ იატაკზე დგავს
ჩვენი წარმომავლობა ხშირად მაფიქრებს
ბურჟუაზიული ბავშვობის მიუხედავად მაინც გვიჭირდა
მშობლები ვერ გვიგებდნენ
ვერც ჩვენ ვუგებდით მათ
ისინი ჩვენგან მათი ფაქტიური მემკვიდრეების აღზრდას ცდილობდნენ
სხვას არაფერს
დაუძლურებული მაგიდასთან ჯდება
თუმცა ახლა რომ ვფიქრდები
მე მაინც ხელოვნებამ გადამარჩინა
ესტრადის ხელოვნებამ
შეიძლება მსახიობობაზე მაღლაც დგას
მე სულ ასე ვთვლიდი
ყველა მაყურებელს სურდა ისე გამოსვულიყავი
როგორც ჩემამდე ათასობით არტისტი გამოდიოდა
მაგრამ მე მაინც ჩემებურად გამოვდიოდი
ისე როგორც სწორად მიმაჩნდა
ჩემი წარმატებაც ამაში მდგომარეობდა
უდაოდ უმაღლესი წარმატება
დგება და ფოტოსურათი მოაქვს, სადაც კარლი პარიზული გასტროლებზე, თეფშზე დაწყობილი საჭმლის ინსტალაციას აკეთებს. ფოტოსურათს ათვალიერებს
პარიზში უჩვეულო და განუმეორებელი არენა იყო
საბოლოო ჯამში ინსტალაციის ყველა კომპონენტი თავ-თავის ადგილას ჩავარჭე
რობერტი
ფოტოსურათს ათვალიერებს
ლიდოს კაბარე
კალი
ჰო ლიდოა
რობერტი
სახელიც მანდ მოიხვეჭე
კარლი
დიახაც

პარიზში მოვიხვეჭე
ლიდოში
ფოტოსურათს მაგიდაზე სდებს
მშობლები იმედგაცრუებულნი იყვნენ
ჩემითაც და შენითაც
უფრო მაინც ჩემით
მათი საყვარელი შვილით
სახელმწიფო მოხელის კარიერას რომ უზადებდნენ
მემკვიდრეობით განსაზღვრულ მომავალს
მაგრამ კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ
ვიფიქრე მაშინ ტუილრის ბაღში
ომის შემდგომი წლების პარიზში
ერთი მეორეზე უფრო მაგარი სანახაობებით რომ დუღდა
რობერტი
ჟურნალს მზერას არ სწყვეტს
ტასოს გაბედულად ვთამაშობდი
წარმატებაც მაგან მომიტანა
ფრთები შემასხა
კარლი
იმ დროს ყველას ხელოვნება სწყუროდა
ზოგადად კულტურა
თეატრი
ვარიეტე და ასე შემდეგ
რობერტი
გამოდის რომ ომმა ხალხი უკულტურობისგან იხსნა
კარლი
შეიძლება ასეც იყოს
რობერტი
საყოველთაო აღტაცება
შთაგონებული კრიტიკა
კარლი
პაუზის შემდეგ
მათილდე მაინც ძალიან მენატრება
გულისშემძვრელი ქმნილება იყო
გარკვეულწილად
საღამოებს მასზე ფიქრში ვატარებ
გაუნძრევლად ვზივარ სკამზე
ღამის პირველ საათამდე არ ვწვები
თუმცა მერეც ვერ ვიძინებ
მათილდეზე ფიქრები არ მასვენებენ
არ მეგონა ასე თუ იქნებოდა
უცბად რობერტს მიმართავს
მგონი არ გაწყენდა ყოველდღიური სეირნობა
ზოოლოგიურ პარკში და უკან
ანდა კათედრალამდე და უკან
უმნიშვნელო დისკომფორტსაც კი სნეულებად წარადგენ

კატეგორიულად
წონაში დაკლება გმართებს
ბევრი იარე
სახლში საჭმელს ნუღა ეზიდები
ისეირნე და დროს მიენდე
რობერტი
ფაქტიურად ვშიმშილობ მათილდეს გარდაცვალებიდან მოყოლებული
კარლი
შენ ჩემზე დიდხანს იცოცხლებ
თვალწინ მიდგას როგორ დგახარ ჩემს საფლავთან
ბოლო შემორჩენილი
უმწეო
ხანმოკლე პაუზა
არაფრის ხალისი არა მაქვს
დგება და ჩიტის გალიასთან მიდის, მეგის უყურებს
მაშ ცალ თვალზე ბრმა ხარო
რობერტი
წიგნს ხურავს
ჰო
ცალ თვალზე
კარლი
რით შეგიძლია ამის დამტკიცება
რობერტ
მათილდეს შეეძლო
კარლი
მათილდეს შეეძლო...
რანაირად შეეძლო?
რობერტი
მარცხენა თვალზე ეტყობა
კარლი
გალიას თავს აბჯენს
რამდენიც არ უნდა იძახო მარცხენა თვალზეო
მაინც ვერაფერს ვამჩნევ
გალიაზე აკაკუნებს, ხელში იღებს და მაგიდასთან მიაქვს, ზედ დგამს, თვითონ კი მაგიდასთან ჯდება
შეშინდა და თვალს აპაჭუნებს
ეს ხომ ბუნებრივია
სიბრმავე რა შუაშია
რობერტისკენ ტრიალდება, ფანჯრისკენ იხედება, დგება, გალიას იღებს და სარეცხის მაგიდასთან მიდის, გალიას ზედ დგამს
რომელი საათია?
რობერტი
ჟურნალ თაიმსს გადაშლის და თითქოს იქიდან ამოიკითხავს
რვის ნახევარი
კარლი
წელიწადის ამ დროს იგი ჩვენ მუდამ გემრიელად გვაჭმევდა

როგორი სხივფარფლიანი თევზის მომზადება იცოდა

მეორე აქტი

ხუთშაბათი
რობერტთან სახლში

პირველი სცენა

მყუდრო სავარძლები
კედელზე ტასოს პერსონაჟად გადაცმული რობერტის სურათი ჰკიდია
ფირფიტსაკრავი უკრავს
რობერტი
თბილ ხალათში გახვეული, სავარძელში ზის და იატაკზე იყურება
თამაშს სიბერემდე არ მოვრჩენილვარ
არაფერი გამომიტოვებია
სილამაზის გამოუსწორებელი ფანატიკოსი
ერთხელ ვენეციაში
სან-მარკოს მოედანზე
მარცხენა ფეხსაცმლით მკვდარი მტრედი მივწიე
სილამაზეს რომ არ აფუჭებდეს
დიდების მწვერვალს სამოცდახუთ წლისამ მივაღწიე
ასაკში დათმობებზე წასვლა გიწევს
ანდერძისა და მემკვიდრეობის გარკვევა
იურიდიული მოლაპარაკებები
ეს რომ ერთხელ სცენაზე წარმოვთქვი
ხალხს მეგალომანიაკად მოვეჩვენე
პუბლიკა წამოიშალა და დარბაზიდან გავიდა
საკუთარი თავით უკმაყოფილება დამეწყო
სოლო გამოსვლები გადავაჭარბე
მეგონა რომ მეფე ლირს დიდებულად ვითამაშებდი
მაგრამ ჯერ ფილტვმა მიმტყუვნეს
მერე კი თირკმელმა
ექიმების ლაქლაქისთვის მაგდენი არ უნდა მესმინა
ისევ იმ ბატუტზე ნაფიქრი ფიქრები მომაგონდა
ოჰ როგორ მძულს ხუთშაბათები
პარკში სეირნობისასაც კი არ მინელდება ტკივილები
თაიმსში წერენ, რომ ჩიჩესტერი სხვაგან გადაიტანეს
კარლს მხოლოდ ჩვენი აფრიანი ნავი და აგარაკი აინტერესებდა
მუსიკის ფანატიკოსი
უნდა მოვეშვათ ყველას და ყველაფრის გაკიცხვას
პირველ რიგში საკუთარი თავისა
ნუ ვიქნებით თვითგანმკიცხველები
დგება და კომოდიდან აბებს იღებს, ყლაპავს და ფანჯარაში იყურება
სპეციალური კლინიკა ბაზელში

თვრამეტი ნოემბერი
არ უნდა დამავიწყდეს
ინგლისური წინდების რამდენიმე წყვილი მთხოვა
ისევ სავარძელში ჯდება
ჟურნალის გამოწერაც კი არ შეუძლია
ბინის სუსტ განათებას იმიზეზებს
შური და საბედისწერო ურთიერთობა მამასთან
დედის მიმართ ხშირად უმსგავსო დამოკიდებულება
მუხანათური სიყვარული და-ძმასთან
ბავშვობაში შუქს გვიქრობდა და სიბნელეში თითს წუწნიდა
იმის შნოც არ ეყო
მათილდესთვის თავისი ქონება რომ გაემხილა
ისე გავიდა თავს
რომ მის ჩაცმულობაზე ინსტრუქციებს იძლეოდა
ვენეციაში ქურქი რომ უყიდა
გამყიდველს თურმე იმდენი ევაჭრა
რომ რვაათასით დააკლებინა
კარლთან ერთად ბაზელში წასვლას მათილდე არ მირჩევდა
მაფრთხილებდა რომ კარლი ჩემ კისერზე იჯდებოდა
იქაური მსახიობებიც წუწუნით შეგაღონებენო
თვითონ კარლს ფულის შოვნა არ შეეძლო
ჩემ თეატრს კი დასცინოდა
ერთხელ რკინიგზის ბაქანზე თავისი პალტო მათრევინა
უცბად შეუძლოთ გავხდი
მას კი ეცინებოდა
არა და ფეხებს ძლივს მივათრევდი
ჩემი აზრით ჰიპოქონდრიის შეტევა დამემართა
მისი აზრით კი სნეულებებს თვითონ ვიგონებდი
პლატონურად ავადმყოფობო
თვითონ კი გაუცხოება სჭირდა
ოღონდ არა გონებრივი
მაგას კიდევ არა უჭირდა
გულგრილობისგან გაუცხოებაა უარესი
მე საერთოდ არ ვაინტერესებდი
ტრამვაიში პირველი თვითონ ადიოდა და ისე ჯდებოდა
არც კი შემეკითხებოდა
იქნებ სად მსურდა დაჯდომა
გაჭიმულად
ალბათ ცხოვრებით დაიღალა
ცოტ-ცოტა ფილოსოფიამაც აურია გონება
ცხოვრების მელოდრამატული პირველი ნაწილი
მეორე ნახევარს კი გაწბილებაში ატარებს
სასტუმროს ფეტიშიზმი სჭირს
ფეხსაცმლის ფეტიშიზმიც
საერთოდ თავში აქვს ფეტიშიზმი
,განუზომელი"

მისი საყვარელი სიტყვა
რა აუცილებელია თეატრალური ხელოვნება
როდესაც ასობით არაჩვეულებრივი რომანი გვაქვს წასაკითხიო
თანაც იცი რომ თავს არავის წინაშე შეირცხვენო
მეუბნება
რატომღაც ცეკვას ვერ იტანს
თუმცა ეგ კაცი მაინც ყველაზე დიდხანს იცოცხლებს
მეფე ლირის როლში ჩარჩი და თავი გაიუბედურეო
შენც და შენი გარემოცვაცო
მეფე ლირისებრ დეპრესიას ავრცელებო
გასვენებაში სიტყვით არ გამოსულა
მათილდეს სახელი მაინც ეხსენებინა
ერთხელ მაინც
მასთან ურთიერთობა გონებას მიბინდავს
მან ცხოვრებაზე ხელი ჩაიქნია
ოთახში ბინდი ჩამოწვება
წარსულს საბოლოო ჯამში აზრი არა აქვს
ჩემს და შენს შორის რკინის ფარდაა ჩამოშვებული
დაკრძალვის მერე პირველსავე რესტორანში შევიდა
თანაც სასაფლაოს ლამის არც გაცდენილა
გალავნის გარეთვე მიაგნო დუქანს
შიმშილი რომ მოიკლა
ტვინი შალიაპინით გამიბურღა
ქალაქში რომ მივბრუნდით თხოვნით მომმართა
მათილდე ცივ კომპრესებს მიკეთებდაო
მარტო ვერ გავიკეთებო
უმწეო ვარო ჩემო რობერტ
უმწეო
თქვა და სახლისაკენ გაეშურა
განა თვითონ არ სძულს უმწეოები
ჯოხზე დაყრდნობილი ბებრები
ან ნებისმიერი ხეიბარი
გაუჩერებლად ლაპარაკობს
სხვას კი ბოდიშის მოუხდელად აწყვეტინებს
ერთი სული მაქვს გამოსვლები აღვადგინო
ის კი მეუბნება
რა უყვამურად თამაშობენ დღეს თეატრშიო
სცენაზე უწმაწურობა და თატრალური უცოდინრობა სუფევსო
პარკში სეირნობისას ისე წამოიყვირა
ბედზე გადავრჩით
რომ პარკში გვერდზე ჩამავალი ძაღლი არ შეაშინა და არ შემოგვახტა
დგება და შუქს ანთებს, ისევ სავარძელში ჯდება
რელიგიაში დაიწყო კითხვებზე პასუხების ძებნა
რა საცოდაობაა
მათილდეს მუდამ ეუბნებოდა რომ არაფერი გააჩნდა
რომ ჩ ვ ე ნ არაფერი გაგვაჩნდა

და რომ მათილდეს ფული უნდა გამოეზოგა
რომ არაფრის საშუალება არ გვქონდა
და რომ აქეთ ვალები გვქონია გასასტუმრებელი
მათილდეც მაგ რწმენით მოკვდა
ეგზისტენციალური ქორეოგრაფია კარლის გამოგონებაა
კარზე ზარს რეკავენ, რობერტი დგება და კართან მიდის,
ოთახში კარლი შემოდის
რობერტი
კარლს პალტოს გახდაში ეხმარება
ახლა სწორად შენზე ვფიქრობდი
კარლი
გარეთ ცივა და წვიმს
როგორც ყოველთვის
როცა შენთან მოვდივარ
სადმე უნდა დავჯდე
ჯდება
რობერტი
კარლის პალტოს საკიდარზე ჰკიდებს, ეკითხება
ჩაის ხომ არ დალევ
კარლი
მადლობთ არა
რომ იცოდე რა საშინელი რამ გადაგვხდა
იმ დღეს ტიუილრის ბაღში
მეტერნიხი ვერ ვიცანი
უცნობივით ჩავუარე
დამჯდარი ფეხებს შლის
სანამ შენთან მოვდიოდი ვფიქრობდი
ლოენგრინზე ხომ არ წავსულიყავით
მაგრამ გადავიფიქრე
ეგ საჩვენო არაა-მეთქი
არა და ოპერაში ალბათ გავერთობოდით
ხანგრძლივი წუხილი გაუბედურებს
გრძელ დეპრესიაში გაგდებს
თუ ფიქრების სხვაზე გადატანა გვინდა
ოპერაში არ უნდა წავიდეთ
მითუმეეტს ვაგნერის ოპერაზე
არავითარ შემთხვევაში
ოთახს თვალს შეავლებს
შენთან უფრო სიმყუდროვეა ვიდრე ველოდი
ყოველ შემთხვევაში არაჯანსაღი ატმოსფერო არ სუფევს
როგორც ვშიშობდი
არ ვიცი რამდენად გამართლებული იყო
ხუთშაბათობით და სამშაბათობით ერთმანეთი უნდა ვინახულოთ
შეიძლება პარასკევსაც და ორშაბათსაც
ანდა კვირაობით და ოთხშაბათობით
არა

იყოს ისე როგორც არის
ჩვევა ჩვევად უნდა დარჩეს
მეტერნახი კი ვერ ვიცანი პარიზში
მერეღა გავაცნობიერე
გადავიმტერე
მაინც რატომ
ვეკითხებოდი ჩემ თავს
პასუხი მალე მეცოდინება
საიდუმლო აღარ იქნება
როგერტი ჯდება
კარლი
შენთან რომ მოვდიოდი
გზაზე საშინელ სახეებს ვხედავდი
ერთმანეთისგან ვერ გამოარჩევ
ვერც სულიერებას ვხედავ
ვერც ცხოვრების უნარს
რაღაცნაირი უმწეობაა
შეიძლება ჩვენ ხალხისგან ბევრს მოველოდით
მაგრამ მოლოდინი არ გვიმართლდებდა
პირიქით
ხალხზე გული გვეყრება
კოსტუმზე იხედება
ეს კოსტუმი წინადაწინ შევაკერინე
როცა მათილდე ავადმყოფობდა
ცხადია სამგლოვიარო
რადგან უკვე ნათელი იყო ყველაფერი
მინდოდა მის დაკრძალვაზე ახალი კოსტუმი მცმოდა
ფულიც არ დავინანე
დგება და პოზირებს
მაგრამ მკერავმა დამიგვიანა
დაკრძალვის მერვე დღეს დამიმზადა
იმდენი ვუჩიჩინე
კოსტუმი თავისუფლად უნდა იჯდეს
ბარემ სხვაგანაც რომ ჩაიცმეოდეს-მეთქი
რას ფიქრობ როგორ გამოვიყურები
უმაღლესი დონის ნამუშევარია
მარტო გასვენებაზე არა
სხვა საზეიმო ღონისძიებებზეცაა გათვლილი
გალაზეც კი გაისვლება
შენ რას ფიქრობ
ხომ ივარგებს
თუნდაც ოპერის საზეიმო გახსნაზე
რასაკვირველია მე იქ მისვლას არ ვაპირებ
არც საახალწლო მეჯლისზე მივალ
გამორიცხულია
მაგრამ იქნებ რამე განსაკუთრებულზე მაინც წავიდე

ნამდვილ გალაზე
კოსტუმს ყველა მხრიდან ათვალიერებს
რობერტი წამოდგება და ისიც ათვალიერებს
კარლი
მკერავს შემოვუთვალე
ისე შეკერე-მეთქი კოსტუმი
საზეიმო ღონისძებაზეც რომ ჩაიცმეოდეს
და რა თქმა უნდა გასვენებაზეც
რობერტი
ალბათ მათილდესაც მოსწონდა შენი კოსტუმი
კარლი
ასე ფიქრობ?
რობერტი
კი ასე ვფიქრობ
მართლა მოეწონებოდა
კარლი
ბუნებრივია
მე კი სულ წინააღმდეგი ვიყავი
ცოცხალი თავით არ ვუკვეთავდი ჩემთვის კოსტუმს
მათილდეს განუწყვეტელ მოთხოვნებს
ის აღარაა
მე კი გალაზე ჩასაცმელი კოსტუმი შემრჩა
წელში გაჭიმული პოზირებს
ასეთი ელეგანტური სამოსი არასოდეს მქონია
ბრწყინვალე კოსტუმია
მართალს არ ვქმბობ
რობერტი
ბრწყინვალეა
მართლაც ბრწყინვალე
კარლი
უდაოდ
იხრება და შარვლის ტოტებზე იხედება
დაბლა ცოტათი გრძელი ხომ არაა
ასე მეჩვენება
უნდა შევამოკლებინო
ცოტათი შევამოკლებინო
რობერტი
სულაც არაა გრძელი
კარლი
ძალიან კარგი
თუ არაა გრძელი~
არაა გრელი
რობერტი
შარვალი გრძელი არა გაქვს
ანა სადაა გრძელი
კარლი

სადაა გრძელი
შარვალი გრძელი მაქვს
დაბლაა გრძელი
რობერტი
შარვალი ზომაზე გრძელია
კარლი
მაინც უნდა შევამოკლო
ასე ვაპირებ
რობერტი
არა-თქო
არა შესამოკლებელი
კარლი ისევ წელში იმართება
რობერტი
აბა სადაა გრძელი
კარლი
ისევ იხრება
მაშ არაა გრძელი
რობერტი
არანაირად არაა გრძელი
კარლი ისევ წელში იმართება
მე კი შესამოკლებლად მკერავთან მიმქონდა
ისევ წინ იხრება
ფახსაცმლის კვალი
კარლი
ისევ სწორდება
მაშ ამბობ რომ არაა
რომ გრძელი არაა
დაქანცული სავარძელში ეცემა
რობერტი ჯდება
კარლი
ქორწილზე კი არ მიფიქრია
მითუმეტეს ამ კოსტუმში
არასოდეს
ფეხებს შლის და თვალებს ხუჭავს
არასოდეს
პაუზის მერე
ძალიან მყუდრო სახლი გაქვს
ძალიან მყუდრო
ჩემთან არაა აასეთი სიმყუდროვე
პაუზის მერე
სულ ცოტა ოცდაათი წელი
ამდენ ხანს ვიცხოვრეთ ერთად
შენ კი ქორწილზე ერთხელ არ გიფიქრია
ვინმესთან დაწყვილებაზე
პასუხისმგებლობის აღებაზე
არცერთხელ

პაუზის მერე
ვინ იცის
იქნებ დაოჯახებულს არც შეგყრდოა შენი სენები
ცხადია გვიყვარს ჩვენი ძმა
ჩვენი ნ ა ხ ე ვ ა რ ძ მ ა
თუ არ მიწყენ
ყველაზე ძვირ იმპორტულ მასალისგანაა შეკერილი
ამაზე მსუბუქს ვერ იშოვი
რობერტი
ადრე ერთი პიჯაკი მქონდა
ზუსტად ამავე ნაჭრისგან იყო შეკერილი
ინგლისური ნაჭრისგან
კარლი
ასეთ სამოსი ელეგანტურებს გვხდის
რობერტი
ნამდვილი საზოგადოებრივი კოსტუმია
შენ რომ გძულდა ისეთი
კარლი
მოჭუტული თვალებით
ნუთუ მართლა მძულდა
რობერტი
ჰო
მუდამ
სწორედ ამ ტიპის კოსტუმები
კარლი
ამ ტიპის კოსტუმები
რობერტი
ცოცხალი თავით არ იცმევდი
სწორედ ამ ტიპის კოსტუმებს
კარლი
მართლა
რობერტი
მართლა
კარლი
შეიძლება ასეც იყო
ესე იგი მძულდა
უფრო მათილდეს გამო
და არა ხალხის თუ საზოგადოების
მხოლოდ მათილდეს გამო
უცბად ზევით იხედება
დიდი სიამოვნებით მოსვიმენდი ახლა მუსიკას
აღარ მინდა ლაპარაკი
მორჩა
დგება და ფირფიტსაკრავთან მიდის, მოსეს და არონის დასაწყისს რთავს და ისევ უკან ჯდება
ვიცი

შენ ყველას ბრამსი გირჩევნია
თვალებს ხუჭავს და ფეხებს შლის

სცენა მეორე

ერთი საათის მერე
ორივენი მინერალურ წყალს წრუპავენ
რობერტი
კარლის საყვარელი მწერლის გამოცნობას ცდილობს
დოსტოიევსკი
კარლი
არა
რობერტი
მაშინ ტურგენევი
კარლი
არა
რობერტი
პაუზის მერე
ტოლსტოი მაინც
კარლი
ტრიუმფით
ა რ ა
რობერტი
ლერმონტოვი
კარლი
რა თქმა უნდა არა
ყვირილით
ლერმონტოვი არა კიდევ ისა
რა სისულელეა
რობერტი
სტენდალი
კარლი
არა-თქო
რობერტი
ფლობერი
კარლი
რაში მარგია
რობერტი
არც ვოლტერი
კარლი
რა თქმა უნდა ვოლტერი
შეუძლებელია რომ ეს ფრაზა რუს მწერალს დაეწერა
ცოდნით ეგ ვერ გეცოდინება
მხოლოდ შეგრძნებით
ცხადია ეს ფრაზა რუსული წარმომავლობის არაა

თანაც რუსული რომანიდან
რობერტი
მე კი სავსებით დარწმუნებული ვიყავი
რუსი მწერალი დაწერდა-მეთქი
კარლი
რაღა თქმა უნდა ფრანგ მწერალს ეკუთვნის
კერძოდე კი ვოლტერს
ფეხებს შლის
ჩაფიქრებული ამბობს
ადრე შაშკს მაინც ვთამაშობდით
რაღაც ფილოსოფიური ფრაზა იყო
რომანიდან ვერ იქნებოდა
ქალების შიში
ნეტა კიდევ რამდენჯერ გავიმეორებ
ქალების გეშინოდა და იმიტომ დარჩი მარტო
პასუხისმგებლობას ფაურბოდი
იმედი გქონდა რომ იდეალურს ნახავდი
მაგრამ იდეალური ვერავის ეღირსება
რადგან არ არსებობს
ბოლოს კი დგება დღე
როცა უკვე გვიანია
იქ სადაც უბრალოს უნდა დავყაბულდეთ
დიდ ამბიციებს ვავლენთ
ბავშვების ყოლა ახალგაზრდობაშივე უნდა
თანაც რამდენიმესი
დაოჯახება ბევრ ფიქრს არ საჭიროებს
მაგრამ გაბედნიერებით ვერც ეგ გაგვაბედნიერებს
უბრალოდ დიდების მანიაში გადავარდნა იცის
როცა დაოჯახებას აჯანჯლებ
ადამიანი რომელიც ყველაფერს რთულად უდგება
წარუმატებლობაზეა განწირული
ის ვინც ძალიან ბევრს ფიქრობს
მეოცნებე
მეორე სავარძელში ჯდება
რობერტი
სხვათა შრის გაზეთის ნეკროლოგის საფასური მე დავფარე
კარლი
ვიცი რომ შენ დაფარე
რობერტი
დალაგებულ გონებაზე დავჯექი და სამი წინადადება მოვიფიქრე
ნეკროლოგში ჩავსვი
არ ვიცი შენ თუ შენიშნე
ჩვენ შორის შუღლი ჩვენმა აუტანელმა ნათესავებმა ჩააგდეს
მათილდესთან მიმართებაში
იმიტომაც დავშორდით ერთმანეთს ას მკვახედ
დაკრძალვის მერე

მგონი გითხარი კიდეც რომელ დუქანში მიდიოდნე მათილდეს მოსაგონრად
,,ლურჯ ბატში"
კარლი
ამ ცივ და წვიმიან ამინდში პალტო უნდა ჩამეცვა
ჩემი ძველი პალტო
ჩემი ძველი სიხარული
რობერტი
გადასახლებას ვფიქრობდი
მაგრამ გადავიფიქრე
იმ ლამაზი ბინის მიტოვება ცოდვაა
ორ ნაბიჯში პარკია
ბოსტნეულის გამყიდველიც იქვე მყავს
მერძევე
ახალგზარდობაში ამას ვერ აფასებ
ავადმყოფობისას ყურმახვილი ხდები
დილაადრიან ფანჯარასთან აქეთ-იქით დავიარები
და რამდენიმე გვერდ მეფე ლირს ვიზეპირებ
სიარულში უკეთ მამახსოვრდება
თამბაქოს ჯიხურის მფლობელთან ინგლისურად საუბარი მახარებს
იცი რომ უსინათლოებს უფრო მაღალი აღქმის უნარი ჰქონიათ
დგება და მაგიდიდან ერთი ფოტოსურათი მოაქვს, კაარლს აჩვენებს
თვით მინეტისთან ერთად ვდგავარ
გამოჩენილ მსახიობთან
კარლი
გამოჩენილ მინეტისთან
მაშ
რობერტი
სამოცდათორმეტ წელს ბერლინში
გახსოვს პანსიონი ,,ჩიჩიკოვი" კურფიურსტენდამზე
დილას ხალხი ოთახში თავზე რომ წამომადგა
ოთახის ავეჯის შესასყიდად მოსულიყვნენ
პანსიონის დიასახლისმა სავარძელი სამ მარკად შეაფასა
თვრამეტ მარკად კი ლოგინი სადაც მე ვიწექი
მუშტრებმა ფასები ჩაიწერეს და წავიდნენ
ჯერ ვიფიქე ყველაფერი დამესიზმრა-თქო
მაგრამ აშკარად მეღვიძა
იმ დღეებში თეატრში ველომრბოლელს ვთამაშობდი
კარლი
ნამდვილი კურიოზია
რობერტი
ფეხები კი უკვე ტკივილებს ვგრძნობდი
პირველი ნიშნები იყო
კარლი
რისი პირველი ნიშნები
რობერტი
ჩემი თირკმელების ამბავისა

კარლი
აბა რა
რობერტი
ფოტოსურათს ხელში იღებს
სამსახურიდან თავის დათხოვნა უცბად გადავწყვიტე
ფოტოსურათს ისევ კომოდში აბრუნებს
ლათინურ ამერიკაში დარჩენა მინდოდა
თუმცა იქაურმა სამხედრო რეჟიმმა გამომაგდო
უკან ბრუნდება, სავარძელში ჯდება
კარლი
სხვა ქვეყნებში ცხოვრება ასუსტებს
ისევე როგორც სხვა კონტინენტებზე
სულიერად ფიტავს
იცი რომ ერთხელ პატარა კუნძულის ყიდვას ვაპირებდი
რობინზონიადის ვარიანტი იყო
მთავარია ხელს ნუ ჩავიქნევთ
კიდევ ერთი რობინზონიადაც მოვაწყოთ
წიგნი ვიკითხოთ
დღეში რამდენიმე ასეული ნაბიჯი შევასრულოთ
წინ და უკან
ჭამა და ძილი
წინ გადაშლილი ზღვა
მე რომ რომში მათილდეს დავშორებულიყავი
ასე დაძაბული არ ვიქნებოდი
ლამის ჭკუიდან გადავედი
მაგრამ ვერ დავშორდი
ეს უკვე შეუძლებელი იყო
გოგო ჩემზე ძალზედ მიჯაჭვული იყო
სულიერი კავშირი მძლავრი გრძნობაა
ალბათ სრულიად უანგარო
ჯერ არტისტობით დავიწყე
მერე ფილოსოფიაზე გადავერთე
ფილოფოფოსამდე ცოტაც დამაკლდა
თუმცა ფილოსოფოსობა სხვა რამეა
მე უფრო ვფილოსოფოსობდი
ფილოსოფოსი არ გავმხდარვარ
ნახევრად ფოლოსოფიურად ვიცხოვრე
თითქოს რომანის მონახაზებში
რობერტი
რომანის მონახაზები
კარლი
ცხოვრების ბოლოს ყველას გვჩემდება ფილოსოფოსობა
გარკვეულწილად
რობერტი
ეგეც ავადმყოფური პროცესია
კარლი

რა თქმა უნდა ავადმყოფურია
უეცრად
დიდი ოთახი მჭირდება
კედლიდან კედლამდე დიდხანს რომ მივდიოდე
ერთი კუთხიდან მეორემდე
გარეთ არ კი გავალ
სულ ჭერქვეშ ვიქნები
ერთადერთი აზრით თავში
რომელსაც დიდხანს განვიხილავ და დავამუშავებ
სანამ არ ამოვწურავ
ყოველი აზრი ასე უნდა დამუშავდეს ჩემო რობერტ
რობერტი ორივეს ჭიქას შეუვსებს
კარლი
კაცმა ტაქტიკურად უნდა იმოქმედო
შენი ფიქრების არ უნდა მოგერიდოს
არც ფიქრების და არც იმის რაც შენ თავს გარეთ ხდება
საერთოდ არაფერი არ უნდა გადარდებდეს
ასე მთელი სამყაროს თავზე დადგმა და ტარება შეგეძლება
სანამ არ დაფშხვნი და დაამსხვრევ
წყალს მოსვამს
თუმცა ერთ აზრს მაინც დავიტოვებ
სწრაფად თავში გავივლებ
ისევე როგორც დანარჩენებს
პაუზის შემდეგ
მათილდეს წერილებს თანმიმდევრულად ვალაგებდი
როგორ უყვარდა რეალობის გაფერადებდა
სულ მძულდა როცა ხალხი საკუთარ მრწამსს ღალატობდა
ამაზრზენია თვალთმაქცობა
წერილობითიც და ზეპირიც
რობერტი
მაშ აუქციონზე არაფერს გაიტან
მათილდეს ნივთებიდან
კარლი
არა
ახლა არა
და იქნებ არც არასდროს
ბოლო-ბოლო მხოლოდ მისი ნივთები ხომ არაა
ჩემიცაა რადგან ყველაფერს მე ვყიდულობდი
ან უბრალოდ ვშოულობდი
პიანინო სულ ნახევარი წლის წინ ავაწყე
მაგრამ ტენიანობა ვნებს
პიანინო ადამიანის სხეულივით მგრძნობიარეა
რობერტს თითქოს დასტურის ნიშნად ჩაახველებს
კარლი
მაღალი ტენიანობა ვნებს
თუ ავეჯს და დანარჩენ ნივთებს აუქციონზე გავიტან

ბინაში აღარაფერი დამრჩება
სუნი მაინც ხომ უნდა დამრჩეს იმ ბედნიერი დროისა
სხვა თუ არაფერი
ჯერჯერობით
პაუზის შემდეგ
კრემაცია არ მოინდომა
რობერტს ისევ ჩაახველებს
კარლი
ფინანსურად დაზღვეულები ვართ
მთავარია მე დამიჯერო და ჩემს დაუკითახვად არაფერი მოიმოქმედო
ოთახში მიმოიხედავს
ასეთი უფრო მომწონს ეს პიანინო
დაძველებული
ნაკაწრიანი
არა და ჩვენ გამუდმებით განახლებაზე ვფიქრობთ
მაგრამ თავადვე ვაბრკოლებთ მის მოსვლას
ხელს საკუთარი ესთეტიკა გვიშლის
როგორი სიმყუდროვეა შენთან
ჩემი ბინა ვერ შეედრება
თუმცა ეს ჩემი არჩევანი იყო
სიმყუდროვეს არ ვითხოვდი
მხოლოდ მეტნაკლებად კომფორტულს
ალბათ ჩემს უცნაურ მიდრეკილებას უნდა მივაწერო
რომ დიდსულოვან ხალხზე ვიყავი გადარეული
მეტნაკლებად გადარეული
ალბათ სულ ტყუილად
ხომ შემიძლია იმ იტალიურ ვოიაჟში შენ დაგპატიჟო
რომელსაც მათილდესთან ერთად ვგეგმავდი
ერთგვარი სამგლოვიარო ვოიაჟი იქნება
მათილდეს დავიტირებთ
ფლორენციაში პიზასთან
შეიძლება რომის ესპანურ კიბეებზეც
ოღონდ იქვე ჰასლერში გავჩერდებით
თუ შშესაფერის ოთახს ვიშოვით
სხვა სასტუმრო არ მინდა
მართალია მეგის მარტო დარჩენა გაუჭირდება
რობერტი
ფოტოსურათები თანმიდევრულად დავაწყე
მათილდესი ცალკე
ჩემი კოლეგების ცალკე
ორი დღე სახლიდან არ გავსულვარ
ჩვენ დაიკოზე ვფიქრობდი
ასე ნაადრევად რომ მიგვატოვა
ახალი წიგნები შევიძინე
თუმცა კითხვის მოთხოვნილებას ვერ ვგრძნობ
პაუზის შემდეგ

თუმცა სხვა რა დამრჩენია
ვფიქრობ იქნებ შვეიცვარიაში მაინც ღირდეს წასვლა
თუ ამჯერად მათილდეს გაფრთხილებებს დავუჯერო
წერილების წერას შევეშვით
მალე სულ გადავეჩვევით
დღეების ზრდასთან ერთად ზურგი მტკივდება
არ მივლის
წუხელის შეუსაბამოდ გრძელი სიზმარი მესიზმრა
ვითომ ქალაქში ჯანმრთელი დავდიოდი
არაფერს ვუჩიოდი
გზადაგზა ნაცნობი ხალხი მხვდებოდა
ისინი ვინც წლებია არ მინახავს
პაუზის შემდეგ
შენი სოციალური უნარები ჩემში მუდამ აღტაცებას იწვევდა
არასდროს არაფერს არ უჩიოდი
ექიმებს არ ენდობოდი
თუმცა არც საკუთარი თავის ნდობა გქონდა
დგება და კომოდთან მიდის, უჯრიდან აბებს იღებს და ყლაპავს, უკან ბრუნდება
სხვების ზრუნვისგან თავს ნებაყოფლობით იზღუდავდი
თუმცა დღემდე პირდაღმა არ გაშხლართულხარ
კარლი
შეგვიძლია რივიერაზეც წავიდეთ
რობერტი ისევ ჯდება
კარლი
წინააღმდეგობის ძალა აღარ დამრჩა
ყველაფერი ხმამაღალი მეჩვენება
რობერტი
სულ შენზე ფიქრობდა
შენ გენდობოდა
მაგალითს შენგან იღებდა
კარლი
ეჰ
მათილდე
ახლაღა დამაკლდა
პაუზის შემდეგ
ნერვები მეშლება რომ აგარაკი შენ გიანდერძა
რობერტი
მე მიანდერძა
კარლი
გაჭიმულად
ჩემ თავს შენ გარჩია
რობერტი
მე მარჩია
კარლი
მათილდემ
შენ

რობერტი
  შენ კი ნერვები გეშლება
კარლი
  ჰო
  ნერვები მეშლება
რობერტი
  ნერვები გეშლება
კარლი
  ნერვები მეშლება
  პაუზის მერე
  მეშლება

გერმანულიდან თარგმნა დიმიტრი გოგოლაშვილმა